8—7
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
15 თებერვალი
1940 წ.
№ 37 (5738)
ფასი 10 კაპ.

საბჭოთა კავშირის გმირები, ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლის ფრონტზე მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულნი. მარცხნიდან: უფროსი ლეიტენანტი **ი. დ. ბორისოვი**, კაპიტან-ლეიტენანტი **თ. გ. ვერშინინი**, კაპიტანი **ა. ი. კროხალევი**, კაპიტანი **ვ. ი. რაკოვი** და კაპიტან-ლეიტენანტი **ა. ვ. ტრიპოლსკი**.

სანიმუშოდ ჩავატაროთ ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნები

დღეს იწყება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები. მიმდინარე არჩევნები ჩატარდება იმის შემოწმების ნიშნით, თუ როგორ ასრულებდნენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გასული წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, როგორ ატარებდნენ ცხოვრებაში ლენინ-სტალინის პარტიის დირექტივებს. პარტიული ორგანიზაციები მოისმენენ თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშს განვლილ მუშაობაზე, გულდასმით განიხილავენ მას ბოლშევიკური, საქმიანი თვითკრიტიკის წესით, დასახავენ ახალი მუშაობის კონკრეტულ ღონისძიებებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახლახან ჩატარებულმა პლენუმმა, რომელმაც განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ, — მიუთითა პარტიულ ორგანიზაციებს ბოლშევიკური დარაზმულობითა და კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩაატარონ არჩევნები პირველადს, სარაიონო, საქალაქო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები შესანიშნავი გამარჯვებებით ხვდებიან არჩევნებს. განვლილ საანგარიშო პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა ბოლშევიკთა პარტიის რიგები. ინდივიდუალური შერჩევის სტალინური პრინციპის მტკიცედ დაცვის საფუძველზე პარტიაში მიღებულ იქნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური მრეწველობის და საკოლმეურნეო მინდვრების წარჩინებული მუშაკნი, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები.

XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ გასული წლის 9 თვის განმავლობაში პარტიაში მიღებულია 31.811 ამხანაგი, აქედან პარტწევრებად 12.334 და კანდიდატებად 19.477 კაცი. პარტიის რიგების ზრდასთან ერთად გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების რიცხვი. კოლმეურნეობებში კომუნისტთა რაოდენობის ზრდის საფუძველზე ჩამოყალიბებულია 336 პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული ახალი, უნარიანი კადრების გამოვლენისა და დაწინაურების საქმეში. დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფე ამხანაგი ლავრენტი **ბერია** გულმოდგინედ ასწავლიდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ახალი კადრების გაბედულად დაწინაურებას პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო და სხვა სამუშაოზე. ამ მდიდარი გამოცდილებით შეიარაღებულმა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გულდასმით შეარჩიეს და გაბედულად დააწინაურეს მრავალ ათასობით ახალგაზრდა, ინიციატივიანი კადრები, რომელთაც პრაქტიკული მუშაობით გვიჩვენეს, რომ შესწევთ უნარი ბოლომდე იბრძოლონ პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის. ისინი ახალი წარმატებით უძღვებიან მათთვის დაკისრებულ საქმეს.

დიდია აგრეთვე წარმატებები, რომელნიც პარტიულმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ თვითეული კომუნისტის, პარტიული, სამეურნეო და სხვა მუშაკების, ჩვენი ხელმძღვანელი კადრების განუყრელი სახელმძღვანელო გახდა. ჩვენი კადრები გულმოდგინედ სწავლობენ ბოლშევიზმის ისტორიას. მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიის შესწავლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. პარტიულმა ორგანიზაციებმაც თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა პარტიული და უპარტიო მასების მიერ ბოლშევიზმის შესწავლის საქმისადმი.

ამ წარმატებათა აღნიშვნასთან ერთად კომუნისტები პარტიულ კრებებზე გულდასმით შეამოწმებენ, თუ როგორ სრულდებოდა მათს ორგანიზაციაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივები, როგორ განახორციელეს ხელმძღვანელმა პარტორგანოებმა კომუნისტების საქმიანი შენიშვნები და პრაქტიკული წინადადებანი, როგორ იყვნენ ისინი დაკავშირებული მასებთან. ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე მოურიდებლად უნდა გამოვამჟღავნოთ პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიის XVIII ყრილობაზე მიღებული საკ. კ. პ. (ბ) წესდებით საწარმოო წამოწყებათა პარტიულ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციის საქმიანობისათვის კონტროლის გაწევის უფლება. როგორ გამოიყენეს ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტის, კოლმეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა მოდუნებულობასთან და უყაირათობასთან ბრძოლის ეს მძლავრი იარაღი? ამ საკითხის განხილვას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

როგორც ვიცით, საწარმოო წამოწყებათა პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობამ სწორად გამოიყენა ადმინისტრაციის საქმიანობისათვის კონტროლის გაწევის უფლება, ბოლშევიკურად შეათავსა პარტიული და სამეურნეო მუშაობა და დიდი წარმატებებიც მოიპოვა, მიცემული სამეურნეო გეგმები წარმატებით შეასრულა. მაგრამ არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ განახორციელეს პარტორგანიზაციის კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ვერ შეათავსეს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა. ასეთია, მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის და ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციები. მათ ჯერ კიდევ ვერ დაამყარეს წესრიგი წარმოებაში, ვერ მიაღწიეს კადრების სწორად გამოყენებას, ვერ ჩაუდგნენ სათავეში სტახანოველთა თაოსნობას. ამიტომაც ამ საწარმოებმა დღემდე ვერ დააღწიეს თავი ჩამორჩენას გეგმების შესრულებაში.

მრავალი ნაკლი ახასიათებს პარტიული მუშაობის სხვა დარგებსაც. ავიღოთ თუნდაც პარტიაში მიღება. ზოგან გულდასმით არ ამოწმებენ პარტიაში მისაღებს, ხელაღებით იღებენ ყველას, ვინც კი სურვილს განაცხადებს (ალბულაღის, ვანის და სხვ. რაიონები), არ არკვევენ იმას, მართლა მოწინავეა თუ არა იგი, შესწევს თუ არა უნარი უმეთაუროს მასების ბრძოლას, ბოლომდე ერთგული იყოს პარტიისა. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წამყვანი პროფესიების მუშაკთა მიღებას, სუსტია ქალთა მიზიდვა პარტიაში და სხვ. ზოგი რეკომენდატორი აშკარა უპასუხისმგებლობას იჩენს — ხელგაშლილად აძლევს რეკომენდაციას ყველა მსურველს. მაგალითად, იმ პირთაგან, რომელთაც პარტწევრმა ა. ბარამიძემ რეკომენდაცია მისცა პარტიაში შესასვლელად, საქ. კ. პ. (ბ) ქედის რაიკომმა 16 კაცს უარი უთხრა მიღებაზე, როგორც შეუფერებელთ.

ცალკეულ პარტორგანიზაციებში სუსტად არის დაყენებული აგრეთვე ბოლშევიზმის დაუფლების საქმე. პარტბიუროები სუსტად ხელმძღვანელობენ, კონტროლს არ უწევენ პარტიის ისტორიის შესწავლას, ხოლო ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი თვითონაც არ სწავლობს. რასაკვირველია, ის პარტიული ხელმძღვანელი, რომელიც თვითონ არ სწავლობს, სხვასაც ვერ გაუწევს დახმარებას.

ნაკლები ყურადღება ექცევა ზოგჯერ ახალგაზრდა კადრების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოწრთობას. მაგალითად, უყურადღებოდაა მიტოვებული პარტბიუროების და პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეებთან მუშაობა (ბორჯომის რაიონი) ისინი ჩაბმული არ არიან პრაქტიკულ მუშაობაში.

ყველა ეს ნაკლოვანებანი გამომჟღავნებულ უნდა იქნან პარტიულ კრებებზე გაბედული ბოლშევიკური თვითკრიტიკის წესით და ნათელი, კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებები უნდა დავუსახოთ ახლად არჩეულ ხელმძღვანელ პარტორგანოებს.

ამჟამად ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნები ტარდება დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში. უკვე მძვინვარებს მეორე იმპერიალისტური ომი. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების შეგულიანებით თეთრფინელმა ბანდიტებმა ფინეთის ხალხს თავზე მოახვიეს ომი საბჭოთა კავშირთან. სამაგიეროდ ძლევამოსილმა წითელმა არმიამ დახმარების ძმური ხელი გაუწოდა ფინელ მშრომელ ხალხს, და შორს არ არის ის დღე, როცა ფინელი მშრომელები სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით საბოლოოდ მოიშორებენ მანერჰაიმელ ბანდიტების მონობის მძიმე უღელს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავდაცვითი მუშაობის გაძლიერების საკითხებს.

ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნები უნდა ჩატარდეს სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნით. უნდა გვახსოვდეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითება იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მომავალი არჩევნები უნდა ჩატარდეს პარტიული ორგანიზაციების მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ნიშნით, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტორგანიზაციების წინაშე მდგომ პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის მასების შემდგომი მობილიზაციის ნიშნით.

ეჭვი არაა, საქართველოს ბოლშევიკები, აღზრდილნი დიდი **სტალინის** ღირსეული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** მიერ, ნამდვილი ორგანიზებულობით ჩაატარებენ ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნებს, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში აირჩევენ მტკიცე, თავდადებულ ბოლშევიკებს, რომელთაც არაერთხელ საქმით დაუმტკიცეს პარტიას თავიანთი უსაზღვრო ერთგულება, თავი გამოიჩინეს XVIII პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელთაც საქმით უჩვენებს პარტიას, რომ შესწევთ უნარი ბოლომდე იბრძოლონ პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის.

ფერგანის ოლქში დაიწყო ჩრდილოეთის არხის მშენებლობა

ნამანგანი (უზბეკეთის სსრ). 11 თებერვალი (საკდესი). დღეს, დილაადრიან, ფერგანის ოლქის 38.500 კოლმეურნე მანქანებით, ურმებით, ცხენებითა და ქვეითად გაემართა ჩრდილოეთის ახალი არხის მშენებლობისაკენ.

სამშენებლო უბნებში მთელი ინვენტარი უკვე მომზადებულია. კარგად არის მოწყობილი აგიტპუნქტები, სასადილოები, წითელი სახაიეები, სამედიცინო პუნქტები. ფარდულებსა და მაღაზიებში დიდძალი საქონელია. კარგად არის მოგვარებული რადიოგადაცემა, მომზადებულია დასასვენებელი და ღამის გასათევი ადგილები.

მე-14 სამშენებლო უბნის კოლმეურნენი პირველნი გამოვიდნენ ტრასზე, ჩალა-კალამისა და ეკლისაგან გასწმინდეს მოედანი და კარვები გამართეს. 12 თებერვალს მთელ ტრასზე დაიწყება მიწის სამუშაო.

იზბასკენტის, პახტა-აბადის, აიმის რაიონების კოლმეურნეობებმა გადასწყვიტეს დახმარება აღმოუჩინონ ნამანგანელ კოლმეურნეებს და ვალდებულება იკისრეს ამოიღონ 990 ათასი კუბური მეტრი გრუნტი.

ქრონიკა

12 თებერვალს მოსკოვიდან გაემგზავრა შვეციის ელჩი ბ-ნი ვინტერი იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დანიშნულია ელჩად ბუენოს-აირესში.

ამ დღეებში მოელიან შვეციის ახლად დანიშნული ელჩის ბ-ნ ასარსონის ჩამოსვლას მოსკოვში.

ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია დონბასში

სტალინო, 14 თებერვალი (**ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.**). დღეს სტალინოში ჩამოვიდა ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია.

დელეგაცია დღესვე მიიღებს მონაწილეობას დონბასის ქვანახშირის მაღაროების საყელავი მანქანების მემანქანეთა, მონგრეული ქვანახშირის მტვრეველთა და მეთაურთა შემადგენლობის თათბირში. თათბირი მოწვეულია პარტიის საოლქო კომიტეტისა და სტალინქვანახშირის კომბინატის მიერ ქალაქ სტალინოში შინსახკომის კლუბში და მიძღვნილია საყელავი მანქანების მემანქანეთა — ათიათასოვანთა საკავშირო შეჯიბრებისადმი. თათბირს ესწრება 350-ზე მეტი კაცი, მათ შორის წარჩინებული სტახანოველები სიტენკო, კალმიკოვი, სიმონოვი, ძმები არცებაშევები და სხვ.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა თამარ გვენეტაძე.

თათბირი გულთბილად შეხვდა საქართველოს ქვანახშირის მუშაკთა დელეგაციას და ხაზი გაუსვა ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით.

ხვალ დელეგაცია სრული შემადგენლობით მიემგზავრება ორჯონიკიძექვანახშირში.

შ. აბაკელია

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს, ამხანაგ მოლოტოვს

გაცნობებთ, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება ამხანაგ სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის ქალაქ კანიბადამიდან ქალაქ ლენინაბადამდე გაგრძელების შესახებ შესრულებულია. კოლმეურნეებმა, ადმინისტრატიულ-ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა, პოლიტმუშაკებმა, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის, ხელოვნების, მედიცინისა და ტრანსპორტის მუშაკებმა, ამხანაგ სტალინის სახელით აღფრთოვანებულებმა, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, ზამთრის პირობებში, 15 დღის განმავლობაში დაამთავრეს მიწის სამუშაოები და გაიყვანეს 79 კილომეტრი სიგრძის არხი.

ამრიგად, ტაჯიკეთის 50 ათასმა მშრომელმა სარეკორდოდ მოკლე ვადაში გაიყვანეს ამხანაგ სტალინის სახელობის დიდი ფერგანის პირველი და მეორე რიგის არხი 126 კილომეტრ მანძილზე, ამით მათ ბოლო მოუღეს მცირე წყლიანობას ტაჯიკეთის მთელ რიგ ჩრდილოეთ რაიონებში და უზრუნველჰყვეს შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების შემდგომი აყვავება.

ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
პროტოპოპოვი

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
კურბანოვი

სტალინაბადი, 13 თებერვალი (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მსროლელთა მე-123 დივიზიის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამ საქმეში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მსროლელთა მე-123 დივიზია დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 13 თებერვალი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 22 წლისთავის წინ

მოსკოვი. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტები გაცხოველებით ემზადებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წლისთავისათვის. ვოროშილოველ ცხენოსანთა სკოლა ამზადებს 50 ცხენოსანი სტუდენტის პირველ გამოშვებას. ამჟამად მიმდინარეობს მოთხილამურეთა გუნდების დასკვნითი საფაკულტეტთაშორისო შეჯიბრება. სტუდენტთა შორის მრავალია შესანიშნავი მოთხილამურე. ზოოტექნიკური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ამხ. ბაბაევმა სათხილამურო სპორტის ოსტატის სახელწოდება მიიღო. აკადემიის საუკეთესო მოთხილამურენი მონაწილეობას მიიღებენ წითელი არმიის XXII წლისთავის სახელობის გასამხედროებულ სათხილამურო ლაშქრობაში, რომელიც მთელი მოსკოვის მასშტაბით იწყობა.

თავდაცვითი - ფიზკულტურული მუშაობის დარგში სტუდენტების მიერ სასწავლო წლის დამდეგს ნაკისრი ვალდებულებანი მთლიანად შესრულებულია. მომზადებულია მეორე საფეხურის 184 ვოროშილოველი მსროლელი, პირველი საფეხურისა — 1.415 კაცი, 412 ვოროშილოველი მეტყვიამფრქვევე, 203 მოტოციკლისტი, 100-ზე მეტი მოთხილამურე.

* * *

ზაბაიკალიის სამხედრო ოლქი. დამთავრდა საგარნიზონო სასროლო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეთაურ-უფროსთა შემადგენლობამ და მეთაურთა და პოლიტმუშაკთა თანამებრძოლმა მეგობარმა ქალებმა. ოლქის ყოველ ნაწილში მიმდინარეობს დაუსწრებელი სასწავლო შეჯიბრება.

წითელი არმიის საოლქო სახლი ამთავრებს დიდი გამოფენის მონტაჟს თემაზე: „სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლებში“. (საკდესი).

ბალტიკის გმირები

სიხარულისა და სიამაყის გრძნობით შეეგება მთელი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მებრძოლთა დაჯილდოებას, რომლებმაც გმირობა გამოიჩინეს თეთრფინელებთან ბრძოლაში. ბალტიის ფლოტის მეზღვაურებს არაერთხელ უსახელებიათ თავი გმირობითა და სიმამაცით. სამოქალაქო ომის პერიოდში მტრის არაერთი გემი ჩაუძირავს რევოლუციური მეზღვაურების ქვემეხებს, და ეს მაშინ, ამ ოცი წლის წინათ, როდესაც ჩვენი ფლოტი შედარებით სუსტი იყო. სტალინური ხუთწლედების პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სამხედრო-საზღვაო ფლოტი საოცრად გაიზარდა და განმტკიცდა. იგი ყოველ წუთს საბრძოლო მზადყოფნაშია მტრის გასანადგურებლად. და აი, დადგა ეს მომენტიც, ბალტიის მეზღვაურებმა, როგორც კი მიიღეს საბჭოთა მთავრობის ბრძანება დაერტყათ თეთრფინელებისათვის და უზრუნველეყოთ ლენინგრადის უშიშროება, ზღვიდან და ჰაერიდან, წითელარმიასთან მხარდამხარ, ქარიშხალი დააყენეს მტრის მიწაწყალზე.

ვერც პურგა, ვერც 5-8 ბალიანი შტორმი, ვერც ყინულოვანი ტალღები ვერ აჩერებდნენ გმირ ბალტიელებს.

წყალქვეშა ნავმა, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტან-ლეიტენანტი თ. ვერშინინი ჩასძირა მტრის სამი სამხედრო ტრანსპორტი 10.000 ტონამდე საერთო წყალწყვის. საშინელი ყინვის მიუხედავად, მისი ეკიპაჟი, გატაცებული თავისი მეთაურის ვერშინინის მაგალითით, გასაოცარ გმირობას იჩენს. აი, წყალქვეშა ნავი გამოუდგა მტრის დაზიანებულ გემს. მიზანია — მტრის გემი უნდა დაიღუპოს, ამ მიზნით გამსჭვალულია მთელი ეკიპაჟი. ამხ. ვერშინინი უკვე კარგა ხანია აღფრთოვანებით ადევნებს თვალყურს კომენდორ მიშჩენკოს. ყინულოვანი ტალღები გაშმაგებით ასკდებოდნენ წყალქვეშა ნავს და არაერთხელ გადაუარეს მიშჩენკოს თავზე, მიშჩენკო მხოლოდ იმით გადარჩა აშკარა დაღუპვას, რომ ტალღის მოვარდნისას დროზე ავლებდა ხელს ლეერს. ასეთ აუტანელ მდგომარეობაში მიშჩენკოს ერთი წუთითაც არ მიუტოვებია ქვემეხი, მიუხედავად იმისა, რომ მტრის გემის დევნა საათზე მეტხანს გაგრძელდა.

თვეზე მეტ ხანს აწარმოებდა ბლოკადას წყალქვეშა ნავი, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტან-ლეიტენანტი ა. ტრიპოლსკი. წყალქვეშ ხანგრძლივი ყოფნა მოითხოვს მეთაურისაგან ყველა რესურსის ზუსტად განსაზღვრას. ყოველი ზედმეტი მოძრაობა ადამიანისა გამოიწვევს გახშირებულ სუნთქვას, მაშასადამე, ჰაერის მეტ დახარჯვას. მიუხედავად ამ დაძაბული პირობებისა, ტრიპოლსკის ეკიპაჟმა მოახერხა დაზიანებული პერისკოპის შეკეთება და მტრის თვითმფრინავების რამდენიმე თავდასხმის უკუგდება.

აი, საშინელ შტორმში მიარღვევს ტალღებს ყუმბარმზიდი №. ერთი მძიმე ტალღა ეძგერა პირამიდად დაწყობილ ყუმბარებს და გაბნია ბაქანზე. რამდენიმე წუთი, და მეორე ტალღა გადარეცხავდა მათ ზღვაში. წითელფლოტელებმა სწრაფად მიიღეს გადაწყვეტილება. თავი გასწირეს, აჰკრიფეს ყუმბარები და ცოცვით მიიტანეს ქვემეხთან. როდესაც ყუმბარმზიდი მტერთან ბრძოლაში ჩაება, წითელფლოტელებს ერთდროულად კვლავ ბუნებასთან გამკლავება დასჭირდათ. დიდი სიცივისაგან ყუმბარები იყინებოდა, ვიდრე მათ ქვემეხში ჩასდებდნენ. წითელფლოტელებმა გადასწყვიტეს ყუმბარები თბილად გახვეული მიეწოდებინათ.

საბჭოთა კავშირის გმირებსა და ორდენოსნებს შორის ცოტანი როდი არიან საზღვაო მფრინავები, ბალტიკის სტალინური შევარდნები. ჩვენი საზღვაო ავიაცია წითელი ფლოტის განუყრელი ნაწილია. თეთრფინელთა რამდენი გემი ჩასძირეს საზღვაო მფრინავების ყუმბარებმა! მტრის რამდენი სიმაგრე აქციეს ნანგრევებად!

საბჭოთა კავშირის გმირმა, კაპიტანმა ვ. რაკოვმა თავისი ესკადრილიით სამხედრო მოქმედების პირველ დღეებშივე გაანადგურა მტრის ჯარი და სიმაგრეები ფინეთის ერთ-ერთ კუნძულზე. არაერთხელ გაურღვევია მას ზენიტური არტილერიის ცეცხლი, მოჰქცევია მტერს ზურგში და წარმატებით შეუსრულებია საბრძოლო დავალება. ერთ-ერთ ბრძოლაში ამხ. რაკოვის თვითმფრინავს მტერმა ერთი მოტორი დაუზიანა. თითქოს ბუნებრივი იყო, რომ რაკოვს უნდა მოებრუნებინა თვითმფრინავი თავისი აეროდრომისაკენ. მაგრამ არა — რაკოვი განაგრძობდა ბრძოლას, ვიდრე მიზანს არ დააყარა ყველა ყუმბარა.

ამხ. ბორისოვს მთელი ბალტიკა იცნობს, როგორც პირველი კლასის ვირტუოზს და თავისი საქმის ოსტატს. მას ამხანაგები სთვლიან საუკეთესო გამანადგურებელ — მფრინავად მთელს ბალტიკაზე.

ორდენოსან მაიორს რომანენკოს ერთხელ დიდხანს დასჭირდა ფრენა, რომ მიეგნო მტრის საზენიტო წერტილებისათვის. მტერი სდუმდა. მაგრამ უეცრად გაისმა სროლა ეკლესიის სამრეკლოდან. რომანენკო შევარდენივით დატრიალდა სამრეკლოს თავზე, შეარჩია პოზიცია და მიზანში ამოღებული სამრეკლოს უჩვეულო ზარების რეკვა ჩააჩუმა. რომანენკო ცნობილი სნაიპერია.

ასევე სახელოვნად მოქმედებს საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ა. კროხალევის ესკადრილია. კროხალევი მუდამ წინ მიუძღვის თავის ესკადრილიას საბრძოლო დავალების შესასრულებლად. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც მას სარდლობამ უბრძანა დაესვენა, ესკადრილიას არ გაჰყოლოდა. კროხალევი დაემორჩილა. მაგრამ არ გაუვლია ორ საათს, და იგი უკვე ურეკავდა უფროსს და ევედრებოდა — გამიშვით ჩემს ესკადრილიასთანო.

საბრძოლო ამოცანების შესრულებაში თავი ისახელეს აგრეთვე ამხ. ა. გურეევმა, ა. ბელოგუროვმა, გ. პინჩუკმა, ვ. ხარლამოვმა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენმა. თვითეული მათგანის სახელი მეტყველებს მგზნებარე პატრიოტიზმზე, უსაზღვრო სიმამაცეზე, საგმირო საქმეებზე. ასეთი ადამიანები ჰყავდა მხედველობაში ამხანაგ სტალინს, როდესაც მან 1924 წლის 24 ივლისს, ინახულა რა კრეისერი „ჩერვონა უკრაინა“, შთაბეჭდილებათა წიგნში ჩასწერა: „...შესანიშნავი ადამიანებია, გაბედული, კულტურული ამხანაგები, რომელნიც ყველაფრისათვის არიან მზად ჩვენი საერთო საქმის გულისათვის. სასიამოვნოა საქმე გქონდეს ასეთ ამხანაგებთან. სასიამოვნოა ასეთ მებრძოლთა რიგებში ებრძოდე მტრებს. ასეთი ამხანაგებით ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა მთელი სამყაროს დამარცხება შეიძლება“.

გავაძლიეროთ მშობელთა პასუხისმგებლობა ბავშვთა სწავლებისა და აღზრდისათვის

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში

13 თებერვალს მუშაობის დამთავრების შემდეგ, შესდგა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, მიძღვნილი მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ მუშაკთა კოლექტივის მიმართვისადმი.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად მიესალმნენ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ მუშაკთა კოლექტივის მიმართვას და აღნიშნეს, რომ სახელოვანი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მზრუნველობით სოციალიზმის ქვეყანაში უზრუნველყოფილია ბედნიერი ბავშვობა; ჩვენი ბავშვები საამურად და მხიარულად ცხოვრობენ.

თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ გამოზარდა ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორც სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი თამარ ბირკაძე, საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსი ელენე ლავთაძე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი ნუნუ აგაშენაშვილი და სხვ.

მაგრამ ზოგი ჩვენგანი საკუთარ ბავშვზე ნაკლებად ზრუნავს. მაგალითად, ფაბრიკასთან არსებული მუშფაკის მეორე კურსის მსმენელი ი. ბერიძე ხშირად აცდენს გაკვეთილს, პაპიროსს ეწევა, ცუდად სწავლობს, ცუღლუტობს, მასწავლებლებს უხეშად ეპყრობა და სხვ. მშობლები მას ყურადღებას არ აქცევენ. ასეთია მოსწავლე ბ. არჩვაძეც და სხვ.

ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა აიღეს ვალდებულება, რომ სისტემატურად შეამოწმებენ თავიანთი ბავშვების სწავლას, კავშირს დაამყარებენ სკოლების ადმინისტრაციასთან, მეთვალყურეობას გაუწევენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის უდედმამო მოსწავლეებს, ჩაატარებენ მათთან აღმზრდელობითს მუშაობას.

ფაბრიკის დირექციამ იკისრა გაიღოს თანხები მოსწავლეთათვის ფიზკულტურული მოედნის მოსაწყობად, საფაბრიკო კომიტეტმა დაავალა მოაწყოს კუთხე პედაგოგიური კონსულტაციისათვის, რაშიც ჩაბმული იქნება მუშფაკის პედპერსონალი.

შესანიშნავი თაოსნობა

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის — „სერპ ი მოლოტის“ მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივის წერილი ბავშვთა სწავლებისა და აღზრდისათვის მშობლების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ საინტერესო თაოსნობაა და იგი მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებში.

თბილისის სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა მთელი კოლექტივი მხურვალედ უჭერს მხარს ამ შესანიშნავ ინიციატივას.

გასაგებია, რომ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სკოლასა და მშობლებს შორის იქნება მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენთან მრავალია ისეთი მშობელი, რომელიც დამეგობრებულია სკოლას და მასთან ერთად ზრდის ბავშვს.

მოწინავე მშობლების გვერდით არიან ისეთებიც, რომლებსაც ავიწყდებათ ბავშვები, ავიწყდებათ, რომ საჭიროა მათი სწავლება, აღზრდა. მაგალითად, მე-7 კლასის მოსწავლე გ. ცინცაძე ცუდად სწავლობს, ცელქია. მშობლები კი მას ყურადღებას არ აქცევენ. როდესაც ამ ბავშვის მშობელი კლასის დამრიგებელმა სკოლაში გამოიძახა, ამისათვის მშობელმა კლასის დამრიგებელს შეურაცხყოფა მიაყენა. მე-6 კლასის მოსწავლე ლ. ვაბუნია სახლიდან გაპარვას აპირებდა, რაშიც მშობლები უწყობდნენ ხელს. ასე უყურადღებოდ არიან მიტოვებული მოსწავლეები: ვ. ასხაბაძე, მ. ართილაყვა, რ. ჭანტურია, ო. ნაჭყებია, ხოლო მშობლები მათზე არავითარ გავლენას არ ახდენენ.

სკოლას არა აქვს ფიზკულტურის მოედანი ბავშვების სავარჯიშოდ. ჩვენი სკოლის წინ მოთავსებულია ფეხსაცმლის და ტრიკოტაჟის არტელები, სადაც არ იცავენ სისუფთავეს და ეს გავლენას ახდენს ბავშვების ჯანმრთელობაზე. საჭიროა ამ მხრივ აღმოგვეჩინოს დახმარება.

სკოლის კომკავშირის, პიონერებისა და მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციებმა საკ. ალკკ მე-10 პლენუმის დადგენილების შემდეგ საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. ჩვენი სკოლის მთელი კოლექტივი „სერპ ი მოლოტის“ ქარხნის მუშაკთა კოლექტივის წერილის საფუძველზე კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას და სასწავლო წლის მეორე ნახევარს საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრებს.

შ. დავითაია

თბილისის სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი.

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

14 თებერვლის განმავლობაში ფრონტზე სწარმოებდა მზვერავთა საძიებო მოქმედება და მთელ რიგ რაიონებში გრძელდებოდა ქვეითი ნაწილების და არტილერიის გაცხოველებული მოქმედება.

კარელიის ყელზე გრძელდება ჩვენი ჯარების წარმატებითი მოქმედება. მტერი, რომელიც ვერ უძლებს ჩვენი ნაწილების დარტყმებს, უკან იხევს და დიდ ზარალს ნახულობს. წარმატებითი მოქმედების შედეგად, 14 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მტრის 16 თავდაცვითი გამაგრებული პუნქტი, მათ შორის 8 რკინა-ბეტონის საარტილერიო ნაგებობა.

ჩვენი ავიაცია აწარმოებდა წარმატებით აქტიურ საბრძოლო მოქმედებას მტრის ჯარებსა და სამხედრო ობიექტებზე და ეწეოდა სადაზვერვო ფრენას.

სტალინის სახელობის რიონჰესის კოლექტივის ახალი წარმატებანი

ქუთაისი, 14 თებერვალი (საქდესი). სტალინის სახელობის რაიონის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივმა მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ლენინის სახელობის ორდენოსანი დნეპრჰესის კოლექტივთან შეჯიბრებაში. ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა 117,4 პროც. არის შესრულებული. სადგურის კოლექტივმა მუშაობის სანიმუშო მაჩვენებლებისათვის მიიღო სსრკ ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა.

შეჯიბრება დნეპრჰესის კოლექტივთან გრძელდება. სადგური ახალი წლის დასაწყისიდან გეგმის დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს. ელექტროენერგიის გამომუშავების იანვრის გეგმა 129,1 პროც. არის შესრულებული, ხოლო თებერვლის პირველი დეკადის გეგმა — 134,6 პროცენტით.

სადგურის კოლექტივი აქტიურად ემზადება გაზაფხულისათვის, როდესაც, წყალდიდობასთან დაკავშირებით, სადგურმა უდიდესი დატვირთვით უნდა იმუშაოს. სწარმოებს ტურბინებისა და სხვა მოწყობილობათა რემონტი.

ორგანიზებულად ჩავატაროთ ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნები

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების წინ

პარტიული ორგანიზაციები დიდი პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებისათვის ლენინის რაიონში, სადაც მოთავსებულია საქართველოს დედაქალაქის უდიდესი სამრეწველო საწარმონი— სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და სხვები.

ფაბრიკა-ქარხნებში ამჟამად მიმდინარეობს დახურული პარტიული კრებები, რომლებზედაც კომუნისტები ეცნობიან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებასა და ინსტრუქციას ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

პარტორგანიზაციები ამოწმებენ პარტიული ორგანიზაციებისა და რაიკომის გადაწყვეტილებათა შესრულებას, აჯამებენ ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის, საამქროთა პარტორგანიზაციების ზრდის, პარტიულ დავალებათა შესრულებისა და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის კონტროლის დარგში გაწეულ მუშაობას. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სარაიონო თათბირმა დაამტკიცა საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების კალენდარული გეგმა.

15 თებერვალს 11 პარტორგანიზაციაში გაიმართება პირველი საანგარიშო-საარჩევნო კრებები. პარტორგანიზაციათა ზრდასთან დაკავშირებით, პირველად ჩატარდება პარტიული კონფერენციები სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა და თბილისის რკინიგზის კვანძის პარტიულ ორგანიზაციებში.

საანგარიშო საარჩევნო კრებებსა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებში პირველად მიიღებს მონაწილეობას ახალგაზრდა კომუნისტების 25 პროცენტი.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა პარტიის რიგებში მოწინავე მუშებისა და საბჭოთა ინტელიგენციის მიღების გზით. პარტიის რიგებში მიღებული არიან: რესპუბლიკაში საუკეთესო შემდუღებელი ორდენოსანი ზ. ნადირაძე, რომელთანაც სასწავლებლად მოდიან შემდუღებლები საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, თბილისის საბჭოს დეპუტატი, სტახანოველი მბურღავი ამხ. ნინო ცოტნიაშვილი, ავტოსარემონტო ქარხნის ინჟინერი ამხ. გ. ჯანგველიძე. პარტიის რიგებში მიღებული არიან თბილისის დეპოს წარჩინებული მემანქანე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. გ. წიკლაური, კრივონოსელი მემანქანე მძიმეწონიანი მატარებლების წაყვანის ერთერთი ინიციატორი ვ. გნოლიძე და მრავალი სხვა.

დეპოს პარტიულ ორგანიზაციას 102 კაცი შეემატა, რაც დაახლოებით დეპოს მთელი პარტორგანიზაციის მესამედს შეადგენს.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია იდეურადაც გაიზარდა. „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" კომუნისტების სამაგიდო წიგნი გახდა. პარტიული ორგანიზაციები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს. პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ რაიონში პარტიის ისტორიის საკითხებზე გაიმართა 260 ლექცია, რომელთაც დაახლოებით 33 ათასი კაცი დაესწრო. ჯგუფური კონსულტაცია 7 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო. იმათთვის, ვისაც დამოუკიდებლად მუშაობა ეძნელება, შექმნილია 25 წრე, რომლებშიც 400-ზე მეტი კაცი მეცადინეობს.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს და აღზარდეს ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკების შესანიშნავი კადრები. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ლენინის რაიკომის პარტიულ მუშაკთა ნახევარზე მეტი დაკომპლექტებულია წარმოებებიდან წამოყვანებულ ახალგაზრდა მზარდ კომუნისტთა რიცხვიდან. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა ინსტრუქტორებად მუშაობენ: მეხუთე სავაგონო უბნის პარტკომის ყოფილი მდივანი ამხ. ქსოვრელი, 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტკომის ყოფილი მდივანი ამხ. მოსიძე; საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგედ დაწინაურებულია ახალგაზრდა ინჟინერი ამხ. ბალავაძე. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ერთერთი საამქროს ყოფილი უფროსი ამხ. კოქლავაშვილი ამჟამად ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორია. 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორად დაწინაურებულია ამ ქარხნის საამქროს უფროსი.

ახალგაზრდა პარტიული კადრები ღირსეულად ამართლებენ პარტიული მასების ნდობას. თბილისის დეპოს საორთქლმავლო ბრიგადების პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნად არჩეულია ახალგაზრდა კომუნისტი კრივონოსელი ამხ. ზუბიტაშვილი. ეს არის მუშაობის რთული და დიდი უბანი. აქ 215 კომუნისტია. საორთქლმავლო ბრიგადები თვეობით ვერ ასრულებდნენ ტვირთზიდვის გეგმას. პარტიულ მასობრივი მუშაობა ცუდად იყო დაყენებული. პარტორგანიზაცია არ იზრდებოდა. მას შემდეგ, რაც აქ ამხ. ზუბიტაშვილი მოვიდა, მუშაობა სხვანაირად წარიმართა. კომუნისტები მძიმეწონიანი მატარებლების კრივონოსული ტარების ინიციატორები გახდნენ. პარტიის წევრებს — მემანქანე გნოლიძეს, ტაბატაძესა და ჟურკინს ამიერკავკასიის რკინიგზის ცალკეულ უბნებზე უმბიძგველოდ დაჰყავთ მატარებლები, რაც დიდ ეკონომიას იძლევა. საორთქლმავლო ბრიგადებმა 1939 წლის გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს. პარტიის რიგებში საანგარიშო პერიოდში მიღებულია 70 კრივონოსელი.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სავსებით გადავწყვიტეთ საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები. ზოგიერთ პარტორგანიზაციაში არასაკმაოდ მუშაობენ მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საკითხებზე, საქ. კ. პ. (ბ) წევრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე. ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ დღემდე ვერ შესძლო გამოეყენებინა კონტროლის უფლება თავისი საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ყურადღების ცენტრში ვერ დააყენა თავის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და კონტროლი. დიდი მუშაობაა ჩასატარებელი ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის მხრივ.

პარტიული ორგანოების არჩევნები უნდა ჩატარდეს ყველა იმ ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, რომლებიც ხელს უშლიან სავსებით იქნას განხორციელებული დიდი სტალინისა და საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანები.

მ. ჩუბინიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი.

ბოლშევიკურად გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი

ამ დღეებში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოსმენილ იქნება პარტბიუროს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ. ჩვენი ორგანიზაციის პარტბიურომ საანგარიშო პერიოდში ცოტა მუშაობა როდი ჩაატარა. ვხელმძღვანელობდით რა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ პარტორგანიზაციის ზრდისა და განმტკიცების საქმეში.

საანგარიშო პერიოდში სერიოზული ყურადღება ექცეოდა პარტიის რიგების ზრდის საქმეს. პარტიაში მივიღეთ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები, სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პარტიისადმი. პარტორგანიზაცია საკ. კ. პ. (ბ) 57 წევრით და პარტიის წევრობის 71 კანდიდატით გაიზარდა.

სერიოზული მუშაობა ჩავატარეთ პარტიის რიგებში ახლად მიღებულებთან. თვეში ორჯერ ვიწვევდით პარტიის წევრობის კანდიდატების თათბირებს, ვეცნობოდით მათს მუშაობას წარმოებაში, ვეხმარებოდით მიცემულ დავალებათა შესრულებაში.

მიუხედავად ამ წარმატებისა, კანდიდატებთან მუშაობის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებებიც. ჩვენი ორგანიზაცია მრავალრიცხოვანია. აქ პარტიის 118 წევრი და 99 კანდიდატი ირიცხება. ვერ შევძელით, რომ ყველა კომუნისტისათვის მიგვეცა შესაფერი პარტიული დავალება. პარტიის წევრობის 30 კანდიდატი ახლაც ისეა დარჩენილი, რომ პარტიული დავალება არა აქვს მიცემული. ახალგაზრდა კომუნისტები ნინო ჩოხელი, ელენე მაისურაძე, ნინო ილაშვილი მონდომებული ამხანაგები არიან, მიუხედავად მათი სურვილისა, ისინი ჩაბმული არ არიან პარტიულ მუშაობაში.

მთავარია კომუნისტების იდეურად აღზრდა. საერთოდ ამ მიმართულებით ცოტა მუშაობა არ ჩაგვიტარებია, მაგრამ ამ დარგშიც გვაქვს ნაკლოვანებანი. აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია პარტისტორიის შემსწავლელი სამი წრე კადრების ძირეული რგოლისათვის. ჩვენ არცერთხელ არ მოგვიწყვია პროპაგანდისტთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, ნაკლებად ვზრუნავდით წრეებში მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ფაბრიკაში ბევრი აგიტატორი სანიმუშოდ მუშაობს. აგიტატორები ალ. კახიანი, ა. მამაჯანოვა, ვ. ჩანადირი და სხვები ყოველდღიურად ატარებენ საუბრებს მუშებს შორის სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე. მაგრამ არიან აგიტატორები, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ; მაგალითად, გ. მეძერიშვილი და ქ. ინუქიძე არ ატარებენ საუბრებს. ამ მდგომარეობას ადგილი არ ექნებოდა, რომ მოგვეწყო მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების გაზიარება, პარტბიუროს სხდომაზე გვემსჯელა იმ ამხანაგების შესახებ, რომლებიც საგიტაციო მუშაობას გვერდს უვლიან. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობის ჩატარება მოგვიხდება.

პარტიის XVIII ყრილობამ მიიღო საკ. კ. პ. (ბ) ახალი წესდება, რომლითაც საწარმოო წამოწყებათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მიანიჭა უფლება — კონტროლი გაუწიონ საწარმოთა ადმინისტრაციის საქმიანობას. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ მრავალჯერ განიხილა საწარმოო საკითხები. გასული წლის პირველ კვარტალში გეგმების შესრულების მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა საქსოვი საამქრო, რომელსაც კომუნისტი ნ. ბახტაძე ხელმძღვანელობს. პარტორგანიზაციამ განიხილა საკითხი აღნიშნული საამქროს მუშაობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მიღებული ზომების შედეგად ამ საამქრომ გასული სამეურნეო წელი დიდი წარმატებებით დაამთავრა.

არის ნაკლოვანებანიც. იშვიათად ვამოწმებდით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ნაკლები ყურადღება ექცეოდა სტახანოველთა სწავლებას და სხვ.

ამჟამად მთელი ჩვენი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ სანიმუშოდ ჩავატაროთ საანგარიშო-საარჩევნო კრება. რაც უფრო ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარდება საანგარიშო-საარჩევნო კრება, მით უფრო შევუწყობთ ხელს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, შემდგომი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებას.

ელ. ძნელაძე

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

მოფიქრებული წინადადებებით წარვსდგეთ საანგარიშო-საარჩევნო კრების წინაშე

დღეს იწყება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები, ეს არჩევნები საუკეთესო სკოლა იქნება განსაკუთრებით პარტიის ახალ წევრთათვის. თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტორგანიზაციამ, რომელიც უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანებით, ცოტა მუშაობა როდი გასწია პარტიაში ახალ წევრთა მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდისათვის.

1939 წელს აქ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიღებულია 101 ამხანაგი, ხოლო წევრებად გადარიცხულია 44 კაცი, თითოეულ მათგანს მიცემული აქვს პარტიული დავალება და პარტბიუროსაგან ეწევა სათანადო დახმარებას დავალების პირნათლად შესრულებაში. თუ წინათ ლიანდაგის დარგში და სახელოსნოებში სუსტად იყო გაშლილი ბოლშევიკური აგიტაცია, ახლა ასე როდია. ბოლშევიკი აგიტატორები ა. ჰანტურია, კიოშინი, მა[illegible]შვილი და სხვ. სადა და დამაჯერებელი ენით იწვევიან მუშებში აგიტაციას ჩვენი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით XVIII პარტყრილობის შემდეგ პარტიულმა ბიურომ სერიოზული ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას. ახალგაზრდა კომუნისტი ამხ. გ. გიორგობიანი დაწინაურებულ იქნა ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსის მოადგილედ; მან წარმატებით გაართვა თავი რთულ სამუშაოს. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ი. კასრაძე დაწინაურებულია სამმართველოს შრომის ინსპექტორად. იგი ერთგულად და სიყვარულით ეკიდება თავის საქმეს. ყოველდღიურად ზრუნავს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. ჯერ ჩვენს მუშაობაში გვაქვს სერიოზული ხარვეზები. მაგალითად, არასაკმაოდ ვმუშაობთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ღრმად შესწავლისათვის, ამ საქმეში ჩვენ ფართოდ ვერ გამოვიყენეთ ისეთი მეთოდი, როგორიცაა კონსულტაციები და თეორიული კონფერენციები. სუსტად ვახორციელებთ პარტიულ კონტროლს წარმოებაზე, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ტროლეიბუსების პარკმა 1939 წელი გარღვევებით დაასრულა და ახლაც ჩამორჩენილია.

პარტბიურო ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს უპარტიო აქტივთან, არადამაკმაყოფილებელია მუშა-ქალთა მიღება საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

ჩვენი მუშაობის ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ სისტემატურად ვერ ვამოწმებთ პარტიულ კრებებზე გამოტანილ ღონისძიებათა შესრულებას, ამიტომ ზოგჯერ დადგენილება არ სრულდება, საქმეს გაუმჯობესება არ ეტყობა.

საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე ფართოდ უნდა გავშალოთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ეს და სხვა ნაკლოვანებანი მოურიდებლად უნდა ვამხილოთ და წამოვაყენოთ წინადადებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ახალ პარტიულ ბიუროებში ავირჩიოთ სავსებით შემოწმებული ბოლშევიკები, კომუნიზმის დიდი საქმის ერთგულნი, რომელთაც შესწევთ უნარი ბოლშევიკურად იბრძოლონ XVIII პარტიული ყრილობის მიერ დასმულ ისტორიულ ამოცანათა მტკიცედ განხორციელებისათვის.

ლ. ლაფანაშვილი

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს პარტბიუროს მდივანი

სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა შესანიშნავი ინიციატივა

სამხრეთ-ოსეთს, ისე, როგორც მთელს ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოს, მოეფინა უზბეკეთისა და ტაჯიკეთის კოლმეურნეთა ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი, რომ მათ 7 წლის ნაცვლად 45 დღეში ააგეს ამხანაგ სტალინის სახელობის ფერგანის უდიდესი არხი.

უზბეკეთისა და ტაჯიკეთის კოლმეურნეთა ამ გამოცდილებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეებში. ჩატარებულ მრავალრიცხოვან მიტინგებზე კოლმეურნეები ერთსულოვნად მიესალმებოდნენ ამ სახალხო მოძრაობას.

— აშკარაა, რომ უზბეკ და ტაჯიკ კოლმეურნეთა მეტად მდიდარი გამოცდილების გადმოღება შესანიშნავ შედეგებს მოგვცემს,—აცხადებდნენ კოლმეურნეები.

მიმდინარე წლის 15 იანვარს პარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა და საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი საგზაო მშენებლობაში ფერგანის არხის მშენებელთა გამოცდილების ფართოდ გადმოტანის შესახებ. საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ცხოვრებაშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა დამხმარე კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ოლქში გზატკეცილების მშენებლობისათვის გაშლილ მასობრივ მოძრაობას.

22 იანვარს დამხმარე კომისიამ, საოლქო აქტივთან ერთად, დაამტკიცა გზის მშენებლობის გეგმა. ეს გზა მომსახურებას გაუწევს სტალინირის, გორის, კასპის და ლენინგორის რაიონებს.

სტალინირისა და ლენინგორის რაიონების კოლმეურნეებმა დააყენეს მთელ მანძილზე გზის გატკეპნის საკითხი. ეს სამუშაო უდიდესი მოცულობისაა. იგი საჭიროებს 90.000 ტონა ქვის მასალას. კოლმეურნეებმა იკისრეს 10-15 დღის განმავლობაში მოზიდონ იგი. ამ შესანიშნავ მშენებლობაში მონაწილეობის სურვილი 144 კოლმეურნეობამ განაცხადა.

გზის მშენებლობაში მონაწილეობას იღებს 10.000 კოლმეურნე. ხრეშს გზისთვის ეზიდება 3.000 მარხილი 8.000 სული მუშა-საქონლით.

გზა დაყოფილია 13 სამშენებლო უბნად. ისინი უზრუნველყოფილი არიან საჭირო რაოდენობის სპეციალისტებით. [illegible] ლებსა და სამშენებლო უბნების უფროსების თანაშემწეებად პოლიტიკურ ნაწილში მუშაობენ რაიკომების მდივნები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც კოლმეურნეთა შორის პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან. გარდა ამისა, პარტიის საოლქო კომიტეტმა გზის მშენებლობაზე გაგზავნა ოლქის 70 პასუხისმგებელი მუშაკი.

ყოველ უბანთან გაკეთებულია სვეტი, რომელზეც სწერია, თუ რომელი კოლმეურნეობაა მიმაგრებული აქ. კოლმეურნეებმა იციან თავიანთი უბნები და იმ სამუშაოს მოცულობა, რომელიც უნდა შეასრულონ. სამშენებლო უბნებს შორის დამყარებულია სატელეფონო კავშირი, სწარმოებს მთელი ტრასის რადიოფიცირება.

ოლქის კოლმეურნეობებში ამჟამად მრავალრიცხოვანი მიტინგები მიმდინარეობს.

— გზას ჩვენთვის ვაშენებთ, თავისუფალი დრო მთლიანად მას მოვახმაროთ! — აცხადებენ კოლმეურნეები. სოფელ კემერთის კოლმეურნეებმა აიღეს ვალდებულება მოზიდონ 500 კუბ. მეტრი ხრეში და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ პრისის კოლმეურნეები. სოფ. ვანათის კოლმეურნეებმა იკისრეს, რომ ნორმებს ვადამდე შეასრულებენ და შეჯიბრებაში სოფ. სათიკარის კოლმეურნეები გამოიწვიეს.

უზბეკეთისა და ტაჯიკეთის კოლმეურნეთა ბოლშევიკური წამოწყება სამხრეთ-ოსეთში შესანიშნავ შედეგებს იძლევა. უფროდაუფრო ფართოვდება და ღრმავდება ის შესანიშნავი სახალხო მოძრაობა კულტურული გზებისათვის, რომლის პიონერები მზიურ საქართველოში სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეები გახდნენ.

30 იანვარს სამხრეთ - ოსეთის კოლმეურნეთა ათიათასიანმა არმიამ დაიწყო ლაშქრობა წარსულის წყეული მემკვიდრეობის—უგზოობის წინააღმდეგ. ეჭვს გარეშეა, ოლქის ყველა კოლმეურნე მიჰბაძავს ამ საუცხოო ინიციატივას და სამხრეთ-ოსეთი მოკლე დროის განმავლობაში დაიფარება კეთილმოწყობილი, დიდხანს გამძლე გზატკეცილების ქსელით.

ი. ჩიაევი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგზაო განყოფილების გამგე.

ფართო გზა ფერგანულ მოძრაობას

(წულუკიძე, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომში ამ დღეებში ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, სოფლის საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების რაიონული თათბირი. პარტრაიკომის მდივანმა ამხ. დ. ქახნიავამ თათბირის მონაწილეებს უამბო, თუ როგორ შენდება მესამე სტალინური ხუთწლედის სიამაყე—დიდი ფერგანის არხი, გააცნო ფერგანელთა მუშაობის მდიდარი გამოცდილება. თათბირის მონაწილეებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ ფერგანული მეთოდით დაეწყოთ მუშაობა ადგილობრივი გზების კეთილმოსაწყობად.

თათბირის მონაწილეებმა სიტყვა საქმედ აქციეს. თათბირის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა კოლმეურნეებს განუმარტეს ფერგანელთა მუშაობის მეთოდი. ამის შედეგად 5 თებერვალს ადგილობრივი და სარაიონო მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად თავისი სურვილით ერთდროულად გავიდა 4 ათასი კოლმეურნე. კოლმეურნეთა ამ არმიამ სამი დღის განმავლობაში სახელმწიფო ვალდებულების ჩაუთვლელად შეაკეთა 20 კილომეტრი გზა. შესრულებულია 1.000 კუბური მეტრი ქვის და მიწის სამუშაოები; შეაკეთეს ძველი ხიდ-ბოგირები, მდინარეებზე არხებზე გაკეთდა 18 ახალი ხიდი. ამჟამად სასოფლო და სარაიონო გზები კეთილმოწყობილი და გამშვენებულია.

ქალაქ წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობასთან მისასვლელ და სხვა გზებზე, სადაც ამ რამდენიმე დღის წინათ ტბები იდგა, ახლა თავისუფლად დასრიალებენ ავტომანქანები. გზების კეთილმოწყობის საქმეში თავი ისახელეს სოფელ მათხოჯის ქვიტირის, ჯიხაიშის, გვაზოურისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ტ. ჩიქოვანი

გამოვიყენოთ ფერგანის არხის მშენებელთა გამოცდილება

შარშან საბჭოთა ტაჯიკეთისა და უზბეკეთის კოლმეურნეებმა საარაკო საქმე გააკეთეს: 45 დღის განმავლობაში გაიყვანეს ფერგანის არხი 270 კილომეტრზე. ამ არხს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელი ეწოდა.

რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში უამრავი ბუნებრივი სიმდიდრე მოგვეპოვება: მოლიბდენისა და დარიშხანის მადნები, ბარიტის, სახურავი ფიქლების, ალებასტრის საბადოები, საკურორტო მნიშვნელობის მინერალური წყლები და სხვ.

ამ საბადოების ფართოდ დამუშავებისათვის საჭიროა გავაფართოოთ არსებული შარაგზები და გავიყვანოთ ახალი. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ ადგილობრივი მოსახლეობა და გამოვიყენოთ ფერგანის არხის მშენებლობის მდიდარი გამოცდილება.

ხ. ბაგოშიძე

სანდრო შანშიაშვილი

უზბეკეთში

(დელეგატის შთაბეჭდილებანი)

დიდი ქვეყანაა უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. იგი იწყება კასპიის ზღვის გადაღმა არალის ზღვიდან და აღწევს თითქმის ჩინეთის ტიან-შანის მთებამდე. მისი ტერიტორია სივრცით ორჯერ მეტია ერთად აღებულ შვეიცარიისა, დანიისა, ესტონეთისა და ლატვიაზე. მოსახლეობა ექვს მილიონს აღემატება.

მას უჭირავს შუა აზიის ცენტრალური ადგილი და ისაზღვრება აღმოსავლეთით ტაჯიკეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ყაზახეთით, ხოლო სამხრეთით — თურქმენეთის სს რესპუბლიკითა და ავღანისტანით.

ძველად უზბეკეთი თურქესტანის სსრ-ში შედიოდა. თურქესტანი დიდად ნაყოფიერი ქვეყანაა და ამიტომაც იყო, რომ იმპერიალისტური მეფის მთავრობა წარსული საუკუნის მეორმოცე წლებში შეეცადა მის დაპყრობას და ამ მიზანს საბოლოოდ მხოლოდ 1895 წელს მიაღწია.

როგორც დაპყრობის, ისე შემდეგ მეფის სატრაპების ბატონობის დროს დიდი უბედურება და დიდი მსხვერპლი გადახდა შუა აზიის მოსახლეობას. აუწერელ საშინელებას მოგვითხრობენ ისტორიკოსები იმ დროიდან, როდესაც მეფის ჯარი „ცეცხლითა და მახვილით" იპყრობდა ამ მხარეს თურქესტანის, განსაკუთრებით დღევანდელ უზბეკეთის მშრომელნი თავგამეტებით იცავდნენ თავის მიწა-წყალს—ცეცხლით და თოხებით შეიარაღებულნი ზედ ეგებოდნენ ხიშტებს.

მეფის კოლონიური პოლიტიკის მეოხებით იხშობოდა ყოველგვარი კულტურული საქმე შუა აზიაში. არ იყო სასწავლებელი, არც თეატრი. თუ არსებობდა სკოლა, მხოლოდ მოლების აღსაზრდელად არაბულ ენაზე, მდიდართა შვილებისათვის. შემდეგ დაარსდა აქა-იქ სკოლებიც, სადაც მშობლიურ ენაზე სწავლება აკრძალული იყო.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაეხსნა უზბეკ ხალხს გზა—დაიმსხვრა მისი მონობის ბორკილები და დაიწყო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინება. მთელი ქვეყანა მოეფინა სკოლებით (უწინ 160 სკოლა ყოფილა 700 მასწავლებლით; დღეს აქ არის 4.684 სკოლა, სადაც სწავლობს 1.106.457 მოწაფე და ასწავლის 34.554 პედაგოგი. ამჟამად უზბეკეთში არის 2 უნივერსიტეტი: შუა აზიის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტაშკენტში და უზბეკეთის სახ. უნივერსიტეტი სამარყანდში, 29 უმაღლესი სასწავლებელი და 129 ტექნიკუმი. წინათ არ ყოფილა არც ერთი თეატრი, დღეს კი ყველა ქალაქში ორი და სამი დიდი თეატრია).

საფუძვლიანად შეცვლილია უზბეკეთის ცხოვრება. წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა დღეს ინდუსტრიულია, მრავალი ქარხანა-ფაბრიკით. ჩვენმა დელეგაციამ დაათვალიერა ტაშკენტში ორი უდიდესი ქარხანა: საქსოვი და მანქანათმშენებელი. ასეთი ქარხნები სხვა ქალაქებშიაც ყოფილა. უზბეკეთი ხომ ბამბის ქვეყანაა. როგორც მითხრეს, უზბეკეთის ბამბა 60 პროცენტით აკმაყოფილებს მთელი საბჭოთა კავშირის საქსოვ მრეწველობას. ტაშკენტის საქსოვი ქარხანა პატარა ქალაქს წარმოადგენს. აქ მუშაობს 12.000-ზე მეტი მუშა. განუწყვეტლად მოდის ბამბის დიდი ბარდანები, იკარგება სადღაც მილებში, გამოდის ასიათასობით ძაფები, იხვევა, იქსოვება, ილებება, უთოვდება და ბოლოს გამოდის მშვენიერი ფერისალი მილიონ მეტრობით.

რა მიზეზით მოვხვდი შუა აზიაში? 23 დეკემბერს უზბეკეთს შეუსრულდა თავისი არსებობის 15 წელი. საქართველოს მთავრობამ ამ ზეიმზე დასასწრებლად მიავლინა დელეგაცია, რომელშიაც შევდიოდით—ამხ. გიორგი სტურუა (თავმჯდომარე), პროფ. ა. ი. ჯაბილიძე, ქ. ჭიჭინაძე, მ. გეწაძე, ქ. აბალაკი, ჯ. სიჯაია და მე. ამ ზეიმს დაერთო მეორე ზეიმიც: ფერგანის დიდი არხის გახსნა.

მოძმე ქართველი ხალხის დელეგაციის ჩასვლამ უზბეკეთში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. როდესაც ამხ. გ. სტურუას სიტყვა მისცეს და დელეგაცია სცენაზე გამოვიდა, ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. როგორც იქნა, ხმაურობა მიწყდა, ამხ. გ. სტურუამ დაიწყო მისალმების სიტყვა. დელეგაციას თან ჰქონდა წაღებული საჩუქრად უზბეკეთის ხალხისათვის იმ სახლის მაკეტი, სადაც დაიბადა ხალხთა საყვარელი ბელადი ი. სტალინი და აგრეთვე მხატვარ ა. ქუთათელაძის დიდი სურათი, რომელიც გამოხატავს ბათუმის მუშების დემონსტრაციას ი. სტალინის მეთაურობით და აგრეთვე ნიმუშები საქართველოს კოლმეურნეთა ნაწარმოებებისა.

მთელი დარბაზი არაჩვეულებრივმა, გამოუთქმელმა აღტაცებამ მოიცვა, როდესაც გორის სახლის მაკეტი გამოიტანა თვით ამხ. გ. სტურუამ. ამას მოჰყვა დიდი სურათი და შემდეგ კოლმეურნეთაგან მიძღვნილი მშვენიერ ყუთებში ჩაი, თამბაქო, მანდარინი, ფორთოხალი, შამპანური და სხვ.

ამ დღის ზეიმი დასრულდა დილის 5 საათზე. ყველა რესპუბლიკიდან მას 400-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა. მეორე დღეს ტაშკენტის განაპირად გაიმართა კოლმეურნე ხალხის საჯარო საერთო დღესასწაული.

თვითონ ტაშკენტი—ეს დედაქალაქი უზბეკეთისა—ლამაზი და დიდი ქალაქია, ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრებით. სახლები უმეტესად ერთსართულიანია, რადგან აქ მიწისძვრა იცის და მაღალ სახლებს არ აშენებენ. მხოლოდ ამ ბოლო დროს აუშენებიათ ბეტონის სამ და ოთხსართულიანი სახლები და დაწესებულებანი. თითოეულ სახლს წინა აქვს მოზრდილი კარმიდამო ხილის ბაღით. და, როგორც მითხრეს, ამის გამო ქალაქი სიგრძით თითქმის სამოცი კილომეტრზე გრძელდება. ქალაქის ცენტრში მეტად გრძელი ქუჩები ასფალტირებულია.

საჯარო დღესასწაულს 200.000-ზე მეტი მუშა და კოლმეურნე დაესწრო. ჩვენი მანქანა გზას ვერ იკვლევდა ურმებით მომავალ და ცხენოსან ხალხში. მე გამაკვირვა მათმა ურმებმა, რომლებშიაც აქლემები ება. ურმის თვლები სიმაღლით სამ მეტრზე ცოტა მეტი იყო. კოლმეურნემ ამიხსნა: ასეთ ურმებს იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენს მინდვრებში სარწყავი არხებია და დიდი თვალი ადვილად გადადის თხრილზეო და, გარდა ამისა, მძიმე ტვირთს ვაკეზე ადვილად აგორებს პირუტყვიო. ტრიალ მინდორზე ამ ურმებით შემოღობილი იყო უშველებელი წრე. წრის გარეთ და ფერდობებზე ჭიანჭველასავით შეფენილიყო ხალხი.

მთავრობა და დელეგაცია შუა ადგილას სპეციალურად აგებულ ამფითეატრზე იყვნენ. აქედან ყველაფერი სჩანდა, რაც ხალხში ხდებოდა.

დღესასწაული დაიწყო ათასი ცხენოსანის ჯირითით. უზბეკები კარგი მოჯირითენი და ცხენის მოყვარულნი არიან. კარგად მოვლილი ჰყავდათ ცხენები—მაღალი, მსუქანი და გრძელი ტანისანი.

სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის საზეიმო გახსნა (1939 წ. 31 დეკემბერს).
ფოტო ც. ლეინისა (საკდესის ფოტოკლიშე).

რომ დრო არ დაკარგულიყო, ერთსა და იმავე დროს გაიმართა ჭიდაობა და ცხენოსანთა შეჯიბრება „ულაკი". რაში გამოიხატება ეს სპორტი? ცხენოსანნი დაყოფილნი იყვნენ რაიონების მიხედვით, თითო ჯგუფში 500 ცხენოსნამდე შედიოდა. თითოეულ ჯგუფს ჩაუგდებდნენ დაკლულ თხას, ან მოზვერს და გამარჯვებული ის იქნებოდა, პირადად თვითონ და თავისი ცხენით, ვინც ამ დაკლულ თხას წრის გარეთ გამოიტანდა. ძალიან ძნელ საქმედ სჩანდა. ხანდახან დაკლული თხა დაბლა დავარდებოდა, მაგრამ ცხენდაცხენ ისევ აიტაცებდნენ. ერთი რომ მოიგდებდა და ის იყო უნდა გამოეტანა, ასი და ორასი წინ დაუდგებოდა და იყო კვლავ მისი ხელიდან ხელში გადასვლა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ თხიდან რჩებოდა რაღაც გათელილი ტყავი, მაგრამ ერთი რომელიმე მაინც გამოიტაცებდა და მას მთავრობა აჯილდოვებდა სხვადასხვა საჩუქრებით.

ასეთ გარჯიშობასთან ერთად სხვა გართობაც მოეწყო: დასტა-დასტად დაიარებოდნენ ხალხში მომღერლები, მოცეკვავე ქალები და ვაჟები, მშვენიერ და ოქრომკედით ნაქარგ ტანსაცმელში. მათი თამაში წააგავდა ჩვენს დავლურს და უზუნდარას. საკრავებად ჰქონდათ ზურნა, გრძელი ჩონგურები „დავთარი", ერთი მეტრის სიგრძის დაფები და საჭ. მეტრის სიგრძის თითბრის „ლოოტოტოები"; ეს იყო ხალხური ორკესტრი. ხალხი ქალების ცეკვით აღტაცებაში მოდიოდა. ამ აღტაცებას ხმამაღლი, გამოლი შეძახილით გამოსთქვამდნენ თუ ეს შეძახილი არ იქნა, სჩანს არ მოსწონს ხალხს. თუ გინდა, რომ შენს ახლო მოვიდეს რომელიმე მოცეკვავე და შენს წინ რამდენიმე წუთი იცეკვოს, საჭიროა მიწაზე დააგდო ბაღდადი და სურვილიც აგისრულდება. ჩვენმა ნაცნობმა უზბეკმა ამიხსნა ეს ჩვეულება და ვცადეთ კიდეც, რადგან ბაღდადი არ მქონდა, დავაგდე ყელის შარფი.

ხალხში შევამჩნიე რამდენიმე ქალი, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ პირბადე, რომელსაც ისინი „ფარანჯას" ეძახიან. ჩვენმა ნაცნობმა უზბეკმა განმიმარტა:

— ოქტომბრის რევოლუციამდე საშინელ მდგომარეობაში იყო უზბეკის ქალი. იგი ნივთად უფრო კი მონად, ითვლებოდა. ის შეეძლოთ გაეყიდნათ და ამ გაყიდვის საფასურს უძახდნენ „ბელგას" ანუ „მზითვის ქრთამს". ჩვეულებრივად „ყალიმს". იყო დამწყვდეული და სახეზე „ფარანჯა" ეფარა. მუსლიმანური კანონი (შარიათი) მტკიცედ იცავდა ქალის მონურ მდგომარეობას. ეს კანონი ამბობდა—მამაკაცი ღირსებით მაღლა დგას, ვიდრე დედაკაციო; თუ დედაკაცი არ გაგონებს, შეაგონე ცემით; წინასწარმეტყველი ბრძანებს, სქლად დაიფარონ ქალებმა პირისახე; არ უნდა გამოვიდნენ გარეთ საპატიო მიზეზის გარეშე. ერთი ვაჟის ჩვენება უდრის ორი ქალის ჩვენებას. გათხოვილ ქალს შეეძლო მხოლოდ კვირაში ერთხელ ენახა მშობლები, ხოლო ნათესავი—წელიწადში ერთხელ.

— ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაამყარა უზბეკი ქალისათვის. თითო ოროლასღა ჰნახავ—ისიც ხანში შესულს,—ფარანჯას რომ ატარებდეს. ჩვენი კოლმეურნეობის წინსვლაში ქალებს დიდი ამაგი მიუძღვით. გვყავხან მრავალი სტახანოველი კოლმეურნე ქალები.—შეაწყვეტინეს ჩემს მოსაუბრეს მოცეკვავე ქალებმა და დელეგატების საპატივცემლოდ „უზბეკური" ითამაშეს.

ხალხში ორნაირ ტიპს ვარჩევდი—ერთი ტანადობით და სახის მოყვანილობით ძალიან ჩამოჰგავს ქართველს, მხოლოდ უფრო მოშავგვრემანოა, ხოლო მეორე: ბრტყელი, ბუტკაა სახით, წვრილი და ირიბი თვალებით, ქოსა და ძალიან თხელი წვერულვაშით, რომლის ბეწვებს თითქმის დაითვლი. ეს უკანასკნელი მონღოლებს ჰგვანან. მათს ლაპარაკში მრავალი სიტყვა გავიგონე და ჩავიწერე: ჩირაღდანი, ჩალა, თეფში, ალიჩა, ჯამი, ლუკმა, ხალხი, სალამი, კალამი, დავლათი, ზეირი, კარი და სხვა მრავალი. ამ სიტყვებს უზბეკები იმავე მნიშვნელობით ხმარობენ, როგორც ჩვენ—ქართველები. მშრომელ გლეხკაცობას აცვია გრძელი და ჭრელი ფარაჯა, წელზე შემორტყმული აქვს ბაღდადი, ფეხთ უმეტესად წაღები აცვიათ (აგრეთვე ქალებსაც), ხოლო თავზე ჰხურავთ თუშური ქუდის მაგვარი, მხოლოდ თეთრი გვირისტით აჭრელებული. ხალხი თავაზიანია, მშვიდი და გულკეთილი. ვნახე კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლებიც. 2-3-ოთახიანი სახლები აქვთ. სკამებს არ ხმარობენ; იატაკი მოფენილი აქვთ ხალიჩებით, ფარდაგებით, მატყლის თექებით და მუთაქებით. აქვთ ისეთივე აკვანი საჩხარუნებელი ლინჭილოებით, როგორც ჩვენ; პურის საცხობად თონე—ჩვენსავით, მხოლოდ არა მიწაში ჩადგმული, არამედ მიწის მაღლაა, გვერდზე წაწვენილი. ჭხარობს ყოველნაირი ხილი, რაც კი მოდის ჩვენში, მხოლოდ ეხლა სცდიან ფორთოხლისა და მანდარინის გაშენებას.

გავიცანი მრავალი კოლმეურნე დაჯილდოებული უმაღლესი ჯილდოთი და მათ შორის იბრაჰიმ რახმატოვი, რომელმაც უზბეკეთში ისეთივე როლი ითამაშა, როგორც ა. სტახანოვმა მთელს კავშირში.

როგორც ქარხნებში, ისე საკოლმეურნეო მუშაობაში მამაკაცებს არ ჩამორჩებიან უზბეკი ქალები. მრავალ მათგანს დიდი თანამდებობაც აბარია. ძალიან გვაინტერესებდა უზბეკური ოპერა და ვნახეთ კიდეც. მიდიოდა ახალგაზრდა კომპოზიტორის, ორდენოსანის მახტარ აშრაფის ოპერა „ბურანი" ლიბრეტო დაწერილია ახალგაზრდა დრამატურგის, ორდენოსანი კამილ იაშენის მიერ. შინაარსობრივად ეს ოპერა ზედმიწევნით წააგავს ჩემს „არსენას". აქ საყურადღებო იყო თვით მუსიკა. როგორც ვიცით, მუსიკის მხრივ უზბეკეთი ძალიან ახალგაზრდაა, ხალხური მოტივები სულ ერთხმოვანია, მაგრამ ნიჭიერ კომპოზიტორს დაუძლევია დიდი სიძნელეები, მას უთამაშნია უზბეკეთისათვის ნოვატორის როლი და შეუქმნია თანამედროვე თემაზე მუსიკალური შინაარსის მხრივ სრულიად ჰარმონიული ნამდვილი ოთხმოქმედებიანი ოპერა. შესანიშნავად თამაშობდნენ და მღეროდნენ თვით მსახიობნი, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამგზის ორდენოსანი უზბეკი ქალი ხალიმა ნასიროვა. მოსაწონი იყო ბალეტიც.

ამის შემდეგ მთელი დელეგაცია გაჰყვა ფერგანის დიდი არხის გახსნაზე. ფერგანის მხარე წააგავს ჩვენს კახეთს, მხოლოდ სამჯერ-ოთხჯერ დიდია მოდის ყველაფერი და უმთავრესად ბამბა. ფერგანაში გამგზავრებისას, ყოველ სადგურზე დროშებით გვხვდებოდა ხალხი და იმართებოდა მფრინავი მიტინგები. დელეგატების ვაგონები ხილით და ხმელი ხილით აავსეს.

ფერგანის არხს სხვა მდინარეებთან ერთად უმთავრესად მდინარე ნარინი ამარაგებს, რომლის სათავე იწყება ტიანშანის მთებიდან. ეს მდინარე სამჯერ-ოთხჯერ დიდია, ვიდრე ჩვენი მტკვარი.

არხის სიგრძე 274 კილომეტრია, სიღრმე და სიგანე თითქმის იმ სიდიდისა, როგორც არის განათხარი ჩელუსკინელთა ხიდის წინ. ინჟინრების დასკვნით, ამ არხის გაყვანას სულ ცოტა შვიდი წელიწადი დასჭირდებოდა, მაგრამ დახეთ უზბეკი ხალხის გმირობას—არხზე სამუშაოდ გამოვიდა 260 000 მუშა-კაცი და ქალი, კულტურული ძალები; ორმოცდახუთ დღეში დაამთავრეს და არხს უწოდეს სტალინის სახელი.

ვნახე კინოფილმი, რომელშიაც მოთხრობილია არხის გათხრის ამბავი. თამამად შემიძლია ვაღიარო, რომ ასეთი გრანდიოზული, ასეთი მასობრივი, ოპტიმიზმით აღსავსე და მხატვრულად შეკრული ფილმი არ მინახავს. ეს ისეთი ფილმია, რომელიც ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ უნდა ნახოს. ამით გაეცნობიან უზბეკი ხალხის დიდ ერთსულოვნებას სოციალისტურ მშენებლობაში.

მე ხშირად დელეგაციას თავს ვანებებდი და ხალხში დავიარებოდი. რომ გაიგონებდნენ სიტყვას: სტალინს, მათს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ვნახე მოხუცი, თვალზე სიხარულის ცრემლებით რაღაცას ამბობდა არხის შესახებ და დაატანა: „სტალინ! სტალინ!".

დაუვიწყარი დარჩება ჩემს მეხსიერებაში უზბეკი ხალხის დიდი ზეიმი თავისი აღორძინების 15 წლისთავზე.

◆

აი რით მიდიან

ლაგოდეხელები გამოფენაზე

ლაგოდეხის რაიონის წარჩინებული ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): კოლმეურნე ც. დეინიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლაგოდეხის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ორდენოსანი გ. გრიგოლაშვილი, ორდენოსანი ტრაქტორისტი გ. ავდოსიევი, რომელიც დაწინაურებულია მტს-ის დირექტორის მოადგილედ ანგარიშსწორების დარგში.

შტრიხები წარსულიდან

ლაგოდეხის რაიმიწგანის არქივში რამდენიმე წლის წინათ აღმოჩენილ იქნა „ქიაურის სატყეო აგარაკის" მეფისდროინდელი მიწათსარგებლობის ორი რუკა.

32.949 დესეტინა მიწა, რომელიც ამ რუკაზე იყო შეტანილი, ეკუთვნოდათ:

4.694 დესეტინა — „სტატსკი სოვეტნიკის" თავად ერასტი ჩოლოყაევის მემკვიდრეთ;

164 დესეტინა — მეფის ჯარის მოხელეებს შთამომავლობითის საკუთრებაში;

696 დესეტინა — კათოლიკურ, „მართლმადიდებელ" და სომხურ ეკლესიებს;

27.396 დესეტინა — ხაზინას.

სამიჯნო რუკაში შეტანილია ამ მიწების პერსონალური მფლობელები: თავადები და აზნაურები, ვაჭრები, მღვდლები და ოფიცრები... ნახსენებია ყველა, მხოლოდ ნახსენები არ არის არცერთი გლეხი.

ლაგოდეხელ გლეხებს არ ჰქონდათ საკუთარი მიწა. მათი ნაშრომითა და ნაოფლარით მემამულეები ასქელებდნენ ჯიბეს.

ორმოციოდე წლის წინათ მთელს ახლანდელი რაიონის ტერიტორიაზე მხოლოდ ლაგოდეხი, ქიაური, კაბალი და მიხაილოვკა (ამჟამად ბუდიონოვკა) იყო დასახლებული.

1905 წლის რევოლუციის ქარცეცხლში აქ გაჩნდა ახალი სოფლები. ცალ ხელში თოხითა და ნაჯახით, ცალ ხელში თოფით მოდიოდნენ აქ უმიწობით შეწუხებული გლეხები რაჭიდან და ლეჩხუმიდან, ქართლიდან, ქიზიყიდან და იმერეთიდან. მოდიოდნენ, კაფავდნენ ტყეებსა და ჯაგნარებს. და ზოგი ნებით, ზოგი ძალით იჩენდა ახალ საბუდარს, ტყეში ღამეობით დგამდნენ ქოხებს, ახალგატეხილ ყამირზე თესდნენ პურსა და სიმინდს, რომ სარჩო მოეწიათ და ცოლშვილი შიმშილით არ ამოწყვეტოდათ.

გლეხებს წართმეული ჰქონდათ შრომის, განათლების და დასვენების უფლება, ადამიანური ცხოვრების უფლება.

— მეფის დროს სკოლაში შვილის შეყვანა მინდოდა, — იგონებს კოლმეურნე სამსონ გველესიანი. — მასწავლებელს ძღვენი წავუღე და ვთხოვე დახმარება.

— თავადიშვილი ხარ? — შემეკითხა.

— არა! — ვუპასუხე.

— აზნაური?

— არა!

— მაღალი გვარის?

— არა!

და როცა გაიგო გლეხი ვიყავი, გარეთ გამომაგდო.

წავიდა ნიკოლოზ რომანოვი და მოვიდნენ მენშევიკების სატრაპები, რომლებმაც მთელი ლაგოდეხი სამხედრო ბანაკად გადააქციეს, მოიტანეს მშრომელი გლეხობის კიდევ უფრო გაღატაკება, შიმშილი და უუფლებობა, ძარცვა-გლეჯა და დამონავება.

ეს იყო წარსულში, წარსული კი ისტორიას ჩაბარდა.

ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომის მოწინავე კოლმეურნე ნ. ჯანაშვილი აკმული თამბაქოთი.

განთავისუფლებულ მიწაზე

სულ სხვაა ახლა განახლებული ლაგოდეხი.

განთავისუფლებულ მიწაზე საკოლმეურნეო შრომამ წინანდელ ღარიბ-ღატაკთ შეძლებული, ბედნიერი და საამური ცხოვრება მოუტანა.

ვული გაიხსნა 35.000 ჰექტარმა მიწამ, რომელიც რაიონის კოლმეურნეობებს სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე უფასო და სამუდამო სარგებლობაში გადაეცა.

ამ ფართობიდან 12.200 ჰექტარზე სთესენ მარცვლეულ კულტურებს — პურსა და სიმინდს, ქერს, შვრიასა და ფეტვს.

4.130 ჰექტარი ტექნიკურ კულტურებს უჭირავს. მათ შორის 3.300 ჰექტარი ტრაპიზონის ჯიშის თამბაქოა, 430 ჰექტარი გერანი. სამიოდე წლის წინათ რომ შემოიტანეს ლაგოდეხში.

რაიონის კოლმეურნეობებს ასეულ ჰექტარობით გაშენებული აქვთ ვენახი და ხეხილი, ყაზანლიყის ვარდი, ბოსტნეული და მზესუმზირა, რომლებიც უხვსა და ბარაქიან მოსავალს იძლევიან.

და უკანასკნელად სუბტროპიკული კულტურების მოშენებასაც მიჰყვეს ხელი აქ.

ახალი კულტურების დანერგვისათვის ბრძოლა გრძელდება და იგი უთუოდ კოლმეურნეთა გამარჯვებით დამთავრდება.

ეს იმიტომ, რომ ლაგოდეხელ კოლმეურნეებს აქვთ შრომასა და ბრძოლაში გამარჯვებათა სახელოვანი ტრადიციები. ამ ტრადიციებზე თანმიმდევრობით ზრდიან ისინი ყველა კულტურის მოსავლიანობას, აფართოებენ საკოლმეურნეო წარმოებას, ადიდებენ კოლექტიური შრომის დოვლათს და ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

ეს წარმატებანი ციფრებით რომ გამოვხატოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ლაგოდეხის რაიონში სულ 69 კოლმეურნეობაა ჩამოყალიბებული.

1937 წელს ამ კოლმეურნეობებმა სულ 15.775.243 მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღეს.

1938 წელს — 17.080.252 მანეთი.

1939 წელს — 22 მილიონ მანეთზე მეტი.

1935 წელს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა შეუდგა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებას, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ჩაბარებული თამბაქოს ფასად 8.957,933 მანეთი მიიღეს.

1939 წელს კი, როცა კოლმეურნეობებმა შეაჯამეს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების ოთხი წლის შედეგი, ამ შემოსავალმა 20 მილიონ მანეთს მიაღწია.

ჯერ დამზადება არ დამთავრებულა და კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული აქვთ 40.000 ცენტნერი თამბაქო, 14.802 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1935 წელს. შარშან თამბაქოს საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 13 ცენტნერს მიაღწია, სამი წლის წინათ კი იგი 8,7 ცენტნერს არ აღემატებოდა.

ხუთიოდე წლის წინათ ლაგოდეხის რაიონში მერძეობის 39 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა იყო მოწყობილი, ახლა კი — 68 ფერმაა. მეცხვარეობის ფერმების რაოდენობა 4-დან 60-მდე გაიზარდა. სამჯერ და კიდევ მეტად გადიდდა მეცხენეობის ფერმათა რიცხვი.

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხ. **ლ. ბერიას** მითითებათა ურყევად გატარებამ და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო მოსავლიანობის გადიდებას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის სწრაფ ზრდას, მან უფრო სრულყოფილი გახადა შრომადღის ღირებულება კოლმეურნეობებში.

სოფელ ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ" (თავმჯდომარე — ა. ფედერენკო), გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის ჰექტარზე საშუალოდ 14 ცენტნერის მიღება რომ იყო დაწესებული, 1937-1938 წლებში 21.5 ცენტნერი თამბაქო მიიღო, რისთვისაც პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს.

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ეს კოლმეურნეობა ახალი გამარჯვებებით მიდის. შარშან კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 26 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თამბაქო მოიყვანა და ამით მთელს რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდა.

სოფელ თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში შარშან ფართო ჩვენებით რომ ღებულობდა მონაწილეობას, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 14 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 18,3 ცენტნერი თამბაქო მიიღო, თავთავიან კულტურათა მოსავალი 11 ცენტნერიდან 14,8 ცენტნერამდე აიყვანა. კოლმეურნეობამ ჰექტარზე მიიღო აგრეთვე 252 ფუთი სიმინდი, 2,7-ჯერ მეტი, ვიდრე გამოფენაში მონაწილეობისათვის იყო დაწესებული.

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში კარგი მუშაობა ჩაატარა ულიანოვკის კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა" და კერძოდ მისმა თავმჯდომარემ ამხ. ს. დარბაიძემ. გამოფენაში მონაწილეობის მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის ეს კოლმეურნეობა მეორე ხარისხის დიპლომით არის დაჯილდოებული.

სოფელ თამარიანის კოლმეურნეობა „წინსვლა" მიმდინარე წელსაც მიიღებს მონაწილეობას გამოფენაში. 1938 წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 12 ცენტნერი თამბაქო მიიღო, შარშან კი 20,4 ცენტნერი. სიმინდის მოსავლიანობა ამ ხნის განმავლობაში 27 ცენტნერიდან 43,6 ცენტნერამდე გადიდდა.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ დააწინაურა სოფ. ყარსუბნის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა. ეს კოლმეურნეობა შარშან მონაწილეობას არ იღებდა გამოფენაში. 1937 და 1938 წლებში აქ ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 11,5 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. შარშან კი გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის ყველა ბრიგადა და კოლმეურნე ჩაება ერთმანეთთან სოცშეჯიბრებაში. მათ სანიმუშოდ ჩაატარეს თესვა და ნათესების დამუშავება, რამაც უზრუნველჰყო სიმინდის მოსავლიანობის აყვანა 40 ცენტნერამდე.

სოფელ განჯალას 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია, ტექნიკური კულტურების ფართობის ზრდის ხარჯზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთი მესამედით შემცირდა სიმინდის ნათესი, სამაგიეროდ გადიდდა მისი მოსავალი. 1937 წელს კოლმეურნეობას 30 ჰექტარი სიმინდი ეთესა, საიდანაც სულ 411,6 ცენტნერი მოსავალი იქნა მიღებული, 14 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ. შარშან კი აქ 20 ჰექტარზე 733,5 ცენტნერი სიმინდი მიიღეს და ნათესების სანიმუშოდ მოვლით საშუალო მოსავლიანობა 36,7 ცენტნერამდე აიყვანეს.

მეცხოველეობის, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად ლაგოდეხის რაიონის 69 კოლმეურნეობიდან წარდგენილია 50 კოლმეურნეობა.

ახალი სოფლის ახალი ადამიანები

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ლაგოდეხის რაიონიდან წელს საკოლმეურნეო სოფლის სამასზე მეტი მოწინავე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

აი, თუნდაც სოფ. ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირი სორდიონ დემეტრაშვილი, რომელმაც შარშან ჰექტარზე საშუალოდ 15,5 ცენტნერი მარცვლეული, 16,4 ცენტნერი თამბაქო, 19 ტონა რამის ნედლი ღერო და ურწყავ ფართობიდან 38,8 ცენტნერი სიმინდი მიიღო, რითაც მან გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა.

ს. დემეტრაშვილის ბრიგადამ შარშან 8,25 ჰექტარზე იმერული თეთრკბილა ჯიშის სიმინდი დათესა მწკრივად, ნათესები მარგვლის წინ დაფარცხა ზიგზაგიანი ფარცხით, შემდეგ 3-ჯერ გათოხნა, მეოთხეჯერ მწკრივთა შორის ფართობარებიანი კულტივატორი გაატარა. თესვიდან მოსავლის აღებამდე ბრიგადაში მოწყობილი იყო მუდმივი რგოლები, რამაც დიდად შეუწყო ხელი მაღალი მოსავლის მიღებას.

ლაგოდეხის რაიონული საბჭოს დეპუტატმა ტრაქტორისტმა ლევან ნადირაძემ გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული 350 ჰექტარის ნაცვლად „სტზ"-ის მარკის ტრაქტორით უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში წლიურად საშუალოდ 775,5 ჰექტარი მიწა მოხნა. კერძოდ შარშან ტრაქტორის დატვირთვა მან 804 ჰექტარამდე აიყვანა და რამდენიმე ასეული კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია გააკეთა.

ლ. ნადირაძე მთელი 6 წლის განმავლობაში მასზე მიმაგრებულ ტრაქტორს შეუფერხებლად ამუშავებს, ამისათვის იგი ფართოდ იყენებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, დროულად უკეთებს ტრაქტორს რეგულაციას, იმარაგებს საწვავ-საცხებ მასალებს, წესრიგში მოჰყავს დასამუშავებელი ნიადაგი, მინიმუმამდე ამცირებს უნაყოფო გადარბენას და სრული დატვირთვით იყენებს მთელს სამუშაო დროს.

შარშან ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 280 ჰექტარი თამბაქო მანქანებით დარგეს. მემანქანეებმა გიორგი ბრეგვაძემ და არსენ ჯაოშვილმა, გამოფენის კანდიდატებად რომ არიან წარდგენილნი, ნორმით გათვალისწინებული 20 ჰექტარის ნაცვლად სეზონში შარშან თავიანთი მანქანებით 30-42 ჰექტარი თამბაქო დარგეს.

გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული პირობები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სტახანოველმა ტრაქტორისტებმა — გრ. ჩუბინიძემ, ლ. მანჩხაშვილმა, ი. ნადირაძემ, ა. ტალახაძემ, ვ. კუბლაშვილმა, ი. ბესტაევმა, გ. ფერაძემ, ლ. ბარბაქაძემ, ა. შიხაშვილმა, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა — კ. ჩუბინიძემ, ა. მაჩაიძემ, გ. გრიგოლაშვილმა ა. ცაგარეიშვილმა, ი. ჰუმბურიძემ და სხვებმა, რომელთა უმეტესობა გამოფენაში შარშანაც ღებულობდა მონაწილეობას.

აფენის უბნის აგროტექნიკოსმა ივანე ქათამაძემ, რომელსაც 9 წლის საწარმოო სტაჟი აქვს, ისე კარგად დააყენა საქმე, რომ მისი მომსახურების ორივე კოლმეურნეობა წელს გამოფენის კანდიდატად არის წარდგენილი.

ამ კოლმეურნეობებმა, რომლებსაც სიმინდი 280 ჰექტარზე ეთესათ, 1938 და 1939 წლებში ჰექტარზე საშუალოდ 26,2 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

კარგი შედეგები მოიპოვა გამოფენის კანდიდატმა, ბუდიონოვკის უბნის მეაბრეშუმეობის აგრო-ინსტრუქტორმა ამხ. რაჟდენ მართაშვილმა. მან ნაყოფიერი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ თავის უბანში ფართოდ დაენერგა ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილება.

შედეგიც თვალსაჩინოა. ბუდიონოვკის მეაბრეშუმეობის აგროუბანში ჰიბრიდების აბრეშუმის თვითეულ კოლოფ თესლზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საშუალოდ 52,1 კილოგრამი პარკი მიიღეს. კერძოდ შარშან გაზაფხულის გამოკვებიდან თვითეულ კოლოფზე მიღებულ იქნა საშუალოდ 64 კილოგრამი, ხოლო საშემოდგომო გამოკვებიდან — 51 კილოგრამი პარკი.

ბუდიონოვკის აგროუბანში ამჟამად 76 მეაბრეშუმე სტახანოველია, რომლებიც პარკის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის სანიმუშო მაგალითებს იძლევიან.

ტანია ნაზაროვა სოფ. სვობოდნაიას ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი მეაბრეშუმეა. გამოფენაში მონაწილეობისათვის 65 კილოგრამი რომ იყო დაწესებული, მან აბრეშუმის თესლის თვითეულ კოლოფზე საშუალოდ მიიღო 1938 წელს 69,5 კილოგრამი პარკი, 1939 წელს კი — 104 კილოგრამი.

მეაბრეშუმეთა შორის მოწყობილ სოცშეჯიბრებაში გაიმარჯვეს აგრეთვე სტახანოველებმა სონია ბარბაქაძემ, ტანია ნოვოსელცოვამ, ქრისტინე ჩაჩანიძემ, ნადია ბოლოტინამ, მაბალე ტოკლიკიშვილმა, მ. ზოტიკოვამ, მარია ბოგდანოვამ, ეთერ გარსევანიშვილმა, შურა მიკრტიჩიანმა, მარო დევიძემ და სხვებმა, რომლებიც ამჟამად გამოფენის კანდიდატებად არიან წარდგენილნი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის მიწგანში შეტანილი აქვს განცხადება ლაგოდეხის „რაიაბრეშუმის" მეთუთეობის აგრონომს დ. ნარუშელაშვილს.

გამოფენაში მონაწილეობისათვის თვითეულ ჰექტარ სანერგიდან 400 ათასი ძირი თუთის სტანდარტული ნერგის მიღება რომ იყო გათვალისწინებული, სანიმუშო მოვლით დ. ნარუშელაშვილმა შესძლო მიეღო ჰექტარზე 1938 წელს — 552.700 ძირი, 1939 წელს კი — 900 ათასი.

თამბაქოს დამატად დაწყობა ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომაში".

გამოცდილების დიადი სკოლა

და ამ გამარჯვებაში მცირე როლი როდი შეასრულა 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებულმა მდიდარმა გამოცდილებამ.

შარშან გამოფენაში ლაგოდეხის რაიონიდან 34 კოლმეურნეობა და 129 მოწინავე ადამიანი იღებდა მონაწილეობას. გამოფენა დაათვალიერა აგრეთვე 200-მდე ექსკურსანტმა, რომლებიც პრაქტიკულად იყენებენ გამოცდილების ამ დიად სკოლაში მიღებულ ცოდნას.

სოფ. ბუდიონოვკის, შრომის და სხვა კოლმეურნეობებში გასული წლის შემოდგომაზე ამ გამოცდილების მიხედვით მოეწყო ეფრემოვული რგოლები.

1.900 მეაბრეშუმე აგროწრეებში ამჟამად მონდომებით სწავლობს ქისტაურელ კოლმეურნე მეაბრეშუმეთა გამოცდილებას, რომელიც შარშან დემონსტრირებული იყო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ლაგოდეხელი მეთამბაქოეები შარშან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაეცნენ კრასნოდარის მხარის სევერსკის რაიონის პალადინის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოობის ცნობილ მერგოლის ევდოკია ოტკიდაჩის მუშაობას, რომელმაც 1937 და 1938 წლებში ჰექტარზე საშუალოდ 32 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თამბაქო მოიყვანა და ამით მაღალი მოსავლის საკავშირო რეკორდი დაამყარა.

მეთამბაქოობის მოწინავე ბრიგადები და რგოლები მონდომებით ემზადებიან იმისათვის, რომ ევდოკია ოტკიდაჩის გამოცდილების საფუძველზე სხვა სამუშაოების დროულად ჩატარებასთან ერთად მოიმარაგონ და თამბაქოს რგვის წინ მწკრივთა შორის ჰექტარზე ხსნარის სახით შეიტანონ 0,5 ცენტნერი სულფატამონიუმი და 1,5 ცენტნერი სუპერფოსფატი.

ლაგოდეხის რაიონის აგროსახლში და ცალკეულ კოლმეურნეობებში იმართება საუბრები იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული გამოფენაზე მიღებული გამოცდილება პრაქტიკულ მუშაობაში. ამის საფუძველზე კოლმეურნეობებმა წელს საზამთრო სათბურებში თამბაქო 28.600 კვადრატულ მეტრზე დასთესეს, 9-ჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე შარშან.

ცხოვრება საამური გახდა

ლაგოდეხელი კოლმეურნეები ახალი ენთუზიაზმით მუშაობენ. ისინი ხარობენ საკოლმეურნეო შრომის ხვავითა და ბარაქით.

სოფლებში ყველგან გაცხოველებული მუშაობაა.

კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმა, მაგრამ ისინი ამით არ კმაყოფილდებიან.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" მოწინავე ადამიანები: ა. გელაშვილი, რ. ინაშვილი და ტ. ბუთლიაშვილი.

კოლმეურნეები აჩქარებენ დარჩენილი თამბაქოს დახარისხებას, დამატად დაწყობას, ცალებად შეკვრას და დამამზადებელ პუნქტებში გაგზავნას, რათა დროულად უყონ რეალიზაცია თამბაქოს უხვ მოსავალს და მთლიანად მიიღონ წლის განმავლობაში გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი ფული.

რაჭისუბნის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად რომ არის წარდგენილი, 144 ცენტნერის ნაცვლად 300 ცენტნერი თამბაქო ჩააბარა სახელმწიფოს და კიდევ განაგრძობს დამზადებას.

დილიდან გვიან საღამომდე ამ კოლმეურნეობის თამბაქოს ფარდულში განუწყვეტელი მუშაობა და მხიარულებაა.

რაჭველმა კოლმეურნეებმა, რომლებიც აქ რვა წლის წინათ გადმოსახლდნენ თავიანთი სოფლებიდან — ვაჭიხევიდან და ირიდან, ძეგლევიდან და ჩირდიდან, თან მოიტანეს დაუცხრომელი შრომითი ენთუზიაზმი და თავიანთი საყვარელი სიმღერა:

ჩვენი მასპინძლის მარანში
ალვის ხე ამოსულიყო,
ძირში მიერგოთ ვაზები,
ზედ წვერზე მოვლებულიყო,
წვერში მოესხა ყურძენი,
შიგ ღვინო გამოსულიყო,
მისგან დამთვრალი ვაჟები
სახლებში ვერ წასულიყო.
კოლმეურნეთა მარანში
სულ ლხინია და თამაში,
დალიე და დადგი თასი,
ჩვენ ვინა გვყავს თქვენი ფასი...

და ამ სიმღერას მღერიან აქ კოლმეურნე ქალები და ვაჟები თამბაქოს დამატად დაწყობის დროსაც. მღერიან და ამ სიმღერაში აქსოვენ ისინი თავიანთ სიხარულს და აღფრთოვანებას, საკოლმეურნეო ცხოვრების სილაღეს და სტუმართმოყვარეობას.

კოლმეურნეობის შარშანდელი გეგმა თვითეულ შრომადღეზე ფულად 4 მანეთის გაცემას ითვალისწინებდა, გაიცა კი 7 მანეთი და 4 კილოგრამი მარცვლეული. მარტო თამბაქომ კოლმეურნეობას 56.000 მანეთის ნაცვლად 180.000 მანეთი შემოსავალი შემატა.

სონა ლობჟანიძის ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეებზე შარშან კოლმეურნეობიდან 7.654 მანეთი ფულად და 270 ფუთი მარცვლეული მიიღო, ვერა ბერიშვილისა და სონა კობერიძის ოჯახებმა 7.000 — 7.200 მანეთი ფულად და 260 ფუთი მარცვლეული. ასეთები აქ ერთეულები როდი არიან.

— რამდენიმე წლის წინათ ქალთა შრომის გამოუყენებლობაზე გვისაყვედურებდნენ, ახლა კი ქალებმა მამაკაცებს გაგვისწრეს, — ღიმილით ამბობს რაჭისუბნის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. ბერიშვილი.

და მართლაც, შარშან თვითეულმა შრომისუნარიანმა მამაკაცმა კოლმეურნეობაში საშუალოდ 323 შრომადღე გამოიმუშავა, ქალებმა კი — 347 შრომადღე. ეს ფაქტი მჭევრმეტყველურად ადასტურებს ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მითითებას იმის შესახებ, რომ ქალები კოლმეურნეობებში დიდი ძალაა.

ჩვენ განგებ შევჩერდით სოფ. რაჭისუბნის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაზე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ერთერთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა მთელს ლაგოდეხის რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ გატარებამ და გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ეს კოლმეურნეობა წინ წასწია და დააწინაურა.

შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ კოლმეურნეები ლაგოდეხის რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიაც.

სოფელ შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან 32 კოლმეურნემ აიშენა ახალი სახლი, და გადააკეთა, გააფართოვა ძველი.

კოლმეურნე გ. დარჩიაშვილის ოჯახმა შარშან 900 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო კოლმეურნეობიდან ფულად 8.100 მანეთი, 180 ფუთამდე მარცვლეული, აგრეთვე თაფლი, ღვინო, ყველი, არაყი, ხილი, საჭმელი ზეთი და სხვა პროდუქტები. 1937 წელთან შედარებით შარშან ამ კოლმეურნეობაში თითქმის სამჯერ გაიზარდა შრომადღის ფულადი ანაზღაურება.

○

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიდიან გამარჯვებათა დიადი დროშით, რომელზედაც ოქროს ასოებით არის დაწერილი საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, სოციალიზმის საქმის გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, მშობლიური **სტალინის** ბრძნული სიტყვები:

„ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო. ცხოვრება უფრო საამური გახდა. ხოლო როდესაც საამურად ცხოვრობ, მუშაობა ხალისიანად მიდის".

ვ. აკანელი

ლაგოდეხი, 1940 წ. თებერვალი.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ მუნტერსის სიტყვა

რიგა, 13 თებერვალი (საკდესი). გუშინ ლატვიის უნივერსიტეტში მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მუნტერსი. „ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ხელმოწერილია პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირთან, — განაცხადა მუნტერსმა.—ეს ვადა სავსებით საკმარისია, რომ შევაჯამოთ ზოგიერთი შედეგი, თუ როგორ ხორციელდება ეს პაქტი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მხარე პაქტის განხორციელებას მიუდგა მეგობრობისა და ურთიერთ ნდობის სულისკვეთებით. შეიძლება იმედი გამოვთქვათ, რომ მომავალშიც ყოველთვის შევძლებთ გამოვნახოთ საერთო ენა და რომ ორივე მხარე საკითხის გადაწყვეტას კეთილი განწყობილებით მიუდგება.

ჩვენ გულდასმით ვადევნებდით თვალყურს უცხოეთის პრესის კომენტარებს 5 ოქტომბრის პაქტის შესახებ, და მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ამ კომენტარებს (ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში) დავეკმაყოფილებინეთ. მრავალი რამ აქ შეიძლება აიხსნას მდგომარეობის ულოდინარობით, მაგრამ კიდევ უფრო მეტი პროპაგანდით, რომელსაც გარკვეული მიზნები აქვს დასახული. უკანასკნელ ხანებში უცხოეთის პრესის შეფასებამ უკვე სხვანაირი ელფერი მიიღო, რადგანაც ყველა ჰხედავს, თუ რა ატმოსფეროში ვითარდება ლატვია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა. ვეხები რა ორ მთავარ მტკიცებას, რომელიც დრო და დრო მეორდება უცხოეთის გაზეთებში, მე მინდა ვიკითხო სად არის ის „გასაბჭოება“, რის გამოც ჩვენ გვაფრთხილებდნენ? და განა არის საერთოდ ისეთი მცხოვრები ლატვიაში, რომელსაც შეეძლოს თქმა, რომ საბჭოთა კავშირი რაიმე სახით ერევა ჩვენს შინაურ საქმეებში? უცხოეთის პრესაში ლატვიას უწოდებენ „პროტექტორატს, რომელმაც დამოუკიდებლობა დაჰკარგა“. და აქაც ფაქტები, რომელსაც ყველა ჰხედავს, ზედმეტი სიტყვების გარეშე ცხადჰყოფენ ასეთი მტკიცების უსაფუძვლობას. თუ აღვნიშნავთ ეკონომიურ და სხვა წარმატებით მოლაპარაკებებს, რომელნიც უკანასკნელ დროს სწარმოებდა ორივე მთავრობებს შორის და რომელთაც უკვე კონკრეტული შედეგები მოგვცეს, მაშინ არის საფუძველი არსებულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან სავსებით დამაკმაყოფილებელი ვუწოდოთ. არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, ამ ხელსაყრელ ვითარებას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს და ადრე თუ გვიან ჩვენ მოგვიხდება ანგარიში გავუწიოთ სსრ კავშირის შინაპოლიტიკურ და საგარეო პოლიტიკურ ზეგავლენას. თუ რა მოსაზრებებს ეყრდნობა ასეთი წინასწარმეტყველება, ეს ამ ადამიანების საიდუმლოებაა. მთავრობის გამოცდილება ყოველ შემთხვევაში არ ამართლებს ამ წინასწარმეტყველებას. მთავრობას მიაჩნია, რომ 5 ოქტომბრის პაქტი ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ სამხედრო პირობებს და იმას, რომ პაქტი დადებულია ურთიერთშორის ნდობისა და ორივე ქვეყნის სუვერენიტეტისადმი სრული პატივისცემის პირობებში“.

მინისტრი დაწვრილებით შეჩერდა აგრეთვე ლატვია-გერმანიის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე, რომელიც ეხება გერმანელი ეროვნების მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნებას. მან განაცხადა: „ფრიად მნიშვნელოვანი როგორც შინაპოლიტიკური, ისე საგარეო პოლიტიკური, ეკონომიური და, შეიძლება ვთქვათ, ისტორიული მნიშვნელობის დიდი მოვლენა იყო 1939 წლის 30 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება გერმანელი ეროვნების მოქალაქეთა ემიგრაციის შესახებ. 15 დეკემბერს დამთავრდა გადასახლება, და თითქმის 45 ათასმა კაცმა დასტოვა ჩვენი ქვეყანა“.

ომის პირველმა თვეებმა თვალები აგვიხილა და დავინახეთ დიდი ნაციონალური და სოციალური ძვრები, რომლებიც ახასიათებს ჩვენს ეპოქას და რომლებიც მოჩვენებითი მშვიდობიანობის პერიოდში (რაც ფაქტიურად მხოლოდ დასვენება იყო უკანასკნელი შეტაკების შემდეგ) ჩვენ თითქოს ოდნავ დაგვავიწყდა. ამ უკანასკნელი თვეების ამბებმა აგრეთვე აგვიხილეს თვალი მომავლის დასანახავად. ჩვენ ვეკითხებით საკუთარ თავს: დამთავრდება თუ არა ეს დიდი შეტაკება მტკიცე მშვიდობიანობის გამარჯვებით? პასუხი ჯერ არ არის, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს პასუხი იქნება. მე მინდა აგრეთვე ვიკითხო, რა პოზიცია უკავია ჩვენ ხალხსა და ჩვენს სახელმწიფოს ამ ომში, იმ ძალთა და იდეათა შეტაკებაში, რომელიც გამოწვეულია ამ ომით? ეს პოზიცია გამოიხატება ერთი ძირითად პრინციპით — ჩვენი დამოუკიდებელი ნაციონალური არსებობის უზრუნველყოფით. ჩვენი ყოველი ნაბიჯი საგარეო პოლიტიკის დარგში მთელი თაობის მანძილზე მიმართული იყო ამ მიზნისაკენ. უკანასკნელ წლებში, ვხედავთ რა დაფარულს, მაგრამ ურთიერთობათა გამწვავების ზრდას იმ დიდ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც განაგებენ ევროპის ბედს, ვხედავთ რა საერთაშორისო უშიშროების სისტემის შესუსტებას, ვხედავთ რა საერთაშორისო თანამშრომლობის შენობის თანდათანობით ნგრევას, ჩვენ სულ უფრო და უფრო ნეიტრალიტეტის პოზიციისაკენ ვიხრებით. ჩვენ კარგად გვესმის, რომ მხოლოდ ეს პოლიტიკა დაიცავს ჩვენს სახელმწიფოს შეიარაღებულ ბრძოლაში ჩარევისაგან, იმ ბრძოლაში ჩარევისაგან, რომელიც სხვისი საქმისათვის სწარმოებს.

დღეს ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ომის ღმერთის საბრძოლო ეტლმა გვერდი აგვიარა. ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ აქამდე ჩვენ შევეძლო და ვახერხებდით ზემოთფორმულირებული ძირითადი პრინციპით ხელმძღვანელობას, პრინციპით, რომელიც ჩვენი დამოუკიდებელი ნაციონალური არსებობის უზრუნველყოფის პოლიტიკით გამოიხატა. ლატვიის თავისუფალი ხალხი არავითარ პირობებში არ გადაუხვევს თავის ახლანდელ პოზიციას. იმ უბადლო ძალის გარდა, რაც ხალხის ერთსულოვნებაში მდგომარეობს, ჩვენ შეგვიძლია სიმხნევე ვპოვოთ ჩვენს ჯანსაღ ნაციონალურ და საზოგადოებრივ სტრუქტურაში. ლატვიის ნაციონალური ცხოვრება მტკიცედ მიდის საკუთარი კულტურის შექმნის გზით. განათლება და ხელოვნება ჩვენში იმავე დონეზე სდგას რა დონეზედაც არის იმ ხალხთა კულტურა, რომელთა ნაციონალური სულის დამოუკიდებლობაში არავის ეჭვი არ შეაქვს“.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა კიოსეივანოვსა და სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის შორის

სოფია, 13 თებერვალი (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა კიოსეივანოვმა და სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბულგარეთში ლავრენტიევმა ერთმანეთს გადასცეს სარატიფიკაციო სიგელები ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ ვაჭრობასა და ნავიგაციის საკითხებზე, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში ამა წლის 5 იანვარს.

გერმანიის პრესის გამოძახილი გერმანიასა და სსრ კავშირს შორის სამეურნეო შეთანხმების დადებაზე

ბერლინი, 13 თებერვალი (საკდესი). გერმანიის გაზეთები დღეს პირველ გვერდებზე დიდი ანშლაგებით ათავსებენ ოფიციალურ ცნობას საბჭოთა კავშირ-გერმანიის სამეურნეო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისა და ორ დიდ სახელმწიფოს შორის ეკონომიური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. „ფელკიშერ ბეობახტერი“, „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“, „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ პირველ გვერდებზე ათავსებენ აგრეთვე გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობას, საბჭოთა კავშირ-გერმანიის სამეურნეო შეთანხმების შესახებ. ამ ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული შეთანხმების უდიდესი მნიშვნელობა ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის.

ლიტვის პრესა გერმანიასა და სსრ კავშირს შორის სამეურნეო შეთანხმების დადების შესახებ

კაუნასი, 13 თებერვალი (საკდესი). დღეს ლიტვის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს ცნობას გერმანიასა და სსრ კავშირს შორის სამეურნეო შეთანხმების დადების შესახებ. გაზეთი „ლიეტუვოს ჟინიოს“ საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმების გამო სწერს, რომ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის ახალი სამეურნეო შეთანხმების ხელმოწერა დიდი მიღწევაა ორივე მხარისათვის.

გაზეთი „XX ამჟიუსი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმება ითვალისწინებს ამ ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის ისეთ მოცულობას, როგორსაც არ ითვალისწინებდა არცერთი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც კი გერმანიას დაუდვია ოდესმე მისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში.

უთანხმოება ფრანგ სოციალისტებს შორის

პარიზი, 12 თებერვალი (საკდესი). გუშინ შესდგა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მდივანთა კონფერენცია. კონფერენცია კარჩახურულ დარბაზში მიმდინარეობდა. ჟურნალისტთა წრეების ცნობით, კონფერენცია იხილავდა პარტიის შიგნით არსებული უთანხმოების საკითხებს. მრავალი დელეგატი უჩიოდა „ყრუ უთანხმოებას“, რომელიც სოციალისტურ პარტიას ძირს უთხრის.

პროტესტი ხელფასიდან გამოქვითვის წინააღმდეგ თეთრი ფინეთის დასახმარებლად

ოსლო, 13 თებერვალი (საკდესი) გაზეთმა „მორგენბლადეტმა“ შემდეგი ცნობა დაბეჭდა: „ქალაქ ოსლოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაადგინა მუნიციპალიტეტის ყველა მუშა-მოსამსახურეს უქვითოს თვიური ხელფასიდან ფინეთის დასახმარებლად 6 კრონი და 50 ერე“. როგორც გაზეთი იუწყება, ამ გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება გამოიწვია მუშა-მოსამსახურეთა შორის, რომელთა აზრით მუნიციპალიტეტს არავითარი უფლება არა აქვს ხელფასიდან ასეთი გამოქვითვისა.

ბურჟუაზიული გაზეთი „მორგენბლადეტიც“ კი, რომელიც ყოველდღე მოითხოვს თეთრი ფინეთისათვის დახმარების გადიდებას, იძულებულია აღნიშნოს, რომ ასეთ „დახმარებას“ იძულებითი ხასიათი აქვს.

„კელნიშე ცაიტუნგი“ ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცების მდგომარეობის შესახებ ფრონტზე

ბერლინი, 13 თებერვალი (საკდესი). გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ ფრანგ და ინგლისელ ჯარისკაცთა ურთიერთობა სრულიადაც არ არის ისეთი მეგობრული, როგორც ამის შესახებ ოფიციალური წყაროები გადმოგვცემენ. ფრონტიდან ხანმოკლე შვებულებაში წასული ფრანგი ჯარისკაცები ამბობენ, საფრანგეთის ჯარი გაცილებით უარეს პირობებში არის, ვიდრე ინგლისისაო,—სწერს გაზეთი. ინგლისელი ჯარისკაცები განლაგებული არიან ფრონტის ხაზს დაშორებულ პოზიციებზე. ისინი დროს ქეიფში ატარებენ, დღეში 30 ფრანკს იღებს თვითეული, მაშინ როდესაც ფრანგები მხოლოდ რამდენიმე სანტიმს იღებენ, რაც ერთი კოლოფი პაპიროსის საყიდლადაც ძლივს ჰყოფნით. ფრანგები აღშფოთებული არიან ლონდონიდან მიღებული ცნობით იმის შესახებ, რომ საფრანგეთში აპირებენ გაგზავნონ 40 წლის ასაკის ინგლისელ ჯარისკაცთა კონტინგენტი. ეს ჯარისკაცები ბრძოლებში კი არ მიიღებენ მონაწილეობას, არამედ იმსახურებენ მხოლოდ გუშაგებად, ზედამხედველებად და სხვ. ამავე დროს საფრანგეთის არმიაში გაწვეული არიან 50 წლის ასაკის ჯარისკაცები, რომელნიც ფრონტის მოწინავე ხაზებზე ეწევიან სამსახურს.

მექსიკის პროფკავშირები ომის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 13 თებერვალი (საკდესი). მექსიკის გაზეთის „ელ პოპულარის“ ცნობით, ამ დღეებში მექსიკის პროფკავშირული ორგანიზაციის „მექსიკის მუშათა კონფედერაციის“ ნაციონალური საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპაში გაჩაღებული ომი იმპერიალისტურია და რომ მექსიკამ, აგრეთვე დასავლეთი ნახევარსფეროს ყველა ქვეყანამ ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას ამ ომში. შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მექსიკის პროფკავშირები გაატარებენ მსოფლიოს ყველა მუშასთან სოლიდარობის პოლიტიკას, განსაკუთრებით კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მუშებთან სოლიდარობისას, რომელნიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავიანთი ნაციონალური განთავისუფლებისათვის.

„მექსიკის მუშათა კონფედერაციის“ ნაციონალურმა საბჭომ აღნიშნა აგრეთვე, სახელმწიფოს შიგნით რეაქციული ძალები გენერლების ალმასანისა და ამაროს ხელმძღვანელობით შეიარაღებულ გადატრიალებას ამზადებენო.

მექსიკის პროლეტარიატი გადაჭრით შეებრძოლება რეაქციონერთა ცდებს მოახდინონ გადატრიალება. ნაციონალური საბჭო მოუწოდებს დაუყოვნებლივ შეიქმნას მთელს მექსიკაში რეაქციასთან მებრძოლი კომიტეტები.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ამ დღეებში სიტყვა წარმოსთქვა რეაქციული წრეების კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე გენერალმა ალმასანმა, რომელმაც გადაკვრით აღნიშნა შესაძლებელია შეიარაღებული გადატრიალების მოხდენაო.

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ

ბერლინი, 12 თებერვალი (საკდესი). მთელ საფრანგეთში გრძელდება კომუნისტებისა და იმ პირთა დევნა, რომელნიც ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ. სენისა და უაზის დეპარტამენტის პრეფექტმა მრავალი კომუნისტი მოათავსა საკონცენტრაციო ბანაკში. დაპატიმრებულთა შორის არის სენისა და უაზის დეპარტამენტის რამდენიმე გენერალური მრჩეველი. კომუნისტური პარტიის წევრობისათვის მანდატები ჩამოართვეს მარსელის 67 საქალაქო მრჩეველს. ლიონის სამხედრო სასამართლომ 5 წლის იძულებითი მუშაობა მიუსაჯა ერთ მუშას, რომელსაც ბრალად ედებოდა „სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ მიმართული“ მოქმედება. ამავე სამხედრო სასამართლომ 5 წლის პატიმრობა მიუსაჯა ფოსტის მოსამსახურეს იმისათვის, რომ მან ომის საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა.

სარაჯოღლუ ბალკანეთის ანტანტის თავმჯდომარეა

ბუქარესტი, 13 თებერვალი (საკდესი). რუმინეთის პრესაში გამოქვეყნებულია საგარეო საქმეთა მინისტრის გაფენკუს წერილი, რომლითაც იგი აცხადებს, რომ, თანახმად ბალკანეთის ანტანტის წესდებისა, მან ანტანტის თავმჯდომარის ფუნქციები გადასცა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სარაჯოღლუს.

მიხეილ თუმანიშვილი

(1818-1875)



65 წელი შესრულდა ჩუმი ქართველი მოღვაწის მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალებიდან.

მოწაფეობიდანვე იგი გასაოცარ ინიციატივას, საქმიანობას და გაბედულებას იჩენდა. მოწაფეთა წრეს, რომელშიც ნიკო ბარათაშვილიც იყო, მიხეილ თუმანიშვილი თაოსნობდა. მისივე რედაქტორობით გამოიცა 1835 წ. ჟურნალი „ყვავილი“, დაურიდებლად, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდათა წრის მისწრაფებათა სადემონსტრაციოდ, მოათავსა მან ამ ჟურნალში ცარიზმის წინააღმდეგ შეთქმული და გადასახლებული მასწავლებლის სოლომონ დოდაშვილის „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“.

მიხეილ თუმანიშვილი ნიკო ბარათაშვილის პოეტური სკოლის წარმომადგენელია. მისი ლექსებიც სულის აღმაფრენის მღელვარებით, „მაცდურ ამაოებისადმი“ შეურიგებლობით და რომანტიკული სულის ამბოხებით არის აღსავსე. მიტომაც არის, რომ ნიკო ბარათაშვილი თავის უფაქიზეს გრძნობებს და განცდებს თავის თანამოაზრე პოეტს და მეგობარს მიხეილ თუმანიშვილს ანდობდა. ნიკო ბარათაშვილის დიდი პოეზიის თვალისმომჭრელ ბრწყინვალებაში მიხეილ თუმანიშვილის ლექსები თუმცა დაჩრდილულია, მაგრამ ისინი მაინც გულისხმიერად მეტყველებენ გასული საუკუნის 30-40-იანი წლების მოწინავე ადამიანთა სულიერ სამყაროზე. მისი დიდი დამსახურებაა, რომ ქართველ მკითხველებს პირველმა გააცნო გენიალური რუსი მწერალი ალ. პუშკინი.

გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მიხეილ თუმანიშვილი გვერდში უდგას გიორგი ერისთავს, რომელიც ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის სათავეში მოექცა და ქართული თეატრი და ჟურნალი განაახლა. გიორგი ერისთავთან მიხეილ თუმანიშვილის თანამშრომლობა უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. მისი სახით ქართული თეატრის ისტორიას წარმოუდგება XIX საუკუნის თეატრალური კრიტიკის მამამთავარი, რომლის ღირსშესანიშნავ რეცენზიებზე სრულყოფდნენ თავის ოსტატობას გ. ერისთავის თეატრის აქტიორები და დრამატურგები, მის საჯარო გამოსვლებში ნახულობდნენ ახლად წამოწყებული შემოქმედებითი მუშაობისათვის უტყუარად საჭირო მხარდაჭერას და გამხნევებას. მ. თუმანიშვილის წერილები თეატრზე სასცენო ხელოვნების რეალისტური კრიტიკის, სცენის ოსტატთა შემოქმედების გულდასმითი ანალიზის საუკეთესო ნიმუშად უნდა იქნას აღიარებული. თუ რაოდენ მშობლიური იყო მ. თუმანიშვილისათვის თეატრი და მსახიობთა წრე, ეს იქიდან სჩანს, რომ მან პირველმა ქართველ მწერალთაგან დაიწყო სუფლიორობა ქართულ სცენაზე.

მ. თუმანიშვილი 50-იანი წლების სახელმოხვეჭილი პუბლიცისტია. მისი „მოლაყბის ფურცლები“ ჟურნალ „ცისკარში“ გამოხატავდნენ იმ დროის მოწინავე იდეებს. მ. თუმანიშვილი გაბედულად ჰგმობდა და ამხელდა თავისი თანამედროვე საზოგადოების ჩამორჩენილობას, გონებრივ შეზღუდულობას და თავის წერილებს სწერდა იმდენად გონებამახვილად, მხატვრულად და პუბლიცისტური მჟღერლობის ისეთი ოსტატობით, რომ მათ დღემდე არ დაუკარგავთ ცხოველი ინტერესი.

მ. თუმანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ 1938 წელს „ფედერაციამ“ შ. ხელთუბნელის ვრცელი მონოგრაფია გამოაქვეყნა. ახლა დროული იქნება 30-40-იანი წლების ამ პოეტის, თეატრალური კრიტიკის მამამთავრის და 50-იანი წლების სახელმოხვეჭილი და მოწინავე პუბლიცისტის თხზულებათა სრული კრებული გამოიცეს.

დ. ჯანელიძე

გამოფენაზე „სტალინი მხატვრულ ლიტერატურაში“

დღეს ერთი თვე სრულდება იმ დღიდან, რაც სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „სტალინი მხატვრულ ლიტერატურაში“. ეს გამოფენა, რომელიც მოეწყო ამხანაგ სტალინის 60-წლისთავისათვის, დიდი წარმატებით სარგებლობს. აქ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან მოდიან მწერლები, სტუდენტები, მეცნიერი მუშაკები, მასწავლებლები, ექსკურსანტები.

გამოფენას ახალი ექსპონატები შეემატა. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მხატვრის, ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის ა. პ. შეპელიუკის ამ დღეებში შექმნილი აკვარელი —„ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი და კ. ე. ვოროშილოვი ავადმყოფ მ. გორკისთან 1936 წლის ივნისში“. (საკდესი).

ლევენფიშ-ალატორცევის მატჩი

14 თებერვალს მოსკოვში, კავშირთა სახლის ოქტომბრის სახელობის დარბაზში იწყება ორი გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკის — გროსმაისტერ ლევენფიშისა და მაესტრო ალატორცევის მატჩი სსრ კავშირის გროსმაისტერის სახელწოდებაზე. გათამაშდება 14 პარტია.

საკდესის თანამშრომელთან საუბარში მაესტრო ალატორცევმა განაცხადა:

— მომავალი შეხვედრა გროსმაისტერ ლევენფიშთან ჩემთვის დიდი მოვლენაა. მე მომიხდება თამაში საშიშ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა—და დიდი წარმატებითაც—სხვადასხვა შეჯიბრებაში. 1937 წელს ლევენფიშმა ყაიმით დაამთავრა მატჩი გროსმაისტერ ბოტვინიკთან. იგი ორჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი.

გროსმაისტერ ლევენფიშს პირველად არა ვხვდები. 1929 წლიდან ცხრაჯერ მითამაშნია მასთან. ჩვენი შეხვედრის საერთო ანგარიში თანაბარია. მატჩში, რომელიც დღეს იწყება, მინდა შევამოწმო ჩემი ძალღონე ისეთ გამოცდილ და მრავალმხრივ მაესტროსთან ბრძოლაში, როგორიც არის ლევენფიში. დამოუკიდებლად იმისა, თუ რით დამთავრდება შეხვედრა, იგი უდავოდ დიდ სარგებლობას მომიტანს. (საკდესი).

დღეს, 15 თებერვალს, საღამოს 8 საათზე გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის კლუბში (ლენინის ქ. № 28, მესამე სართული) შესდგება თბილისის ძირეული პრესის მუშაკთა (მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების რედაქტორები, სარედაქციო კოლეგიის წევრები, მუშკორები) საქალაქო შეკრება.

ნეკროლოგი

ვ. ი. ჭიჭინაძე

10 თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს ექიმთა საზოგადოების სტომატოლოგიური სექციის საპატიო წევრი, თბილისის სტომატოლოგიური საზოგადოების ერთერთი დამაარსებელთაგანი, უხუცესი სტომატოლოგი ვარლამ იოსების-ძე ჭიჭინაძე.

ვარლამ იოსების-ძის სახელთან მჭიდროდ დაკავშირებულია სტომატოლოგიის განვითარების საკითხი საქართველოში.

ამხ. ჭიჭინაძე ეკუთვნის ექიმ-საზოგადო მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც იბრძოდა იმისათვის, რომ კბილის მკურნალობა, რომელიც იმ დროს უფრო ხელობას და ხელოსნობას წააგავდა, დაეყენებინა სამეცნიერო ნიადაგზე. ცარიზმის შავბნელ ეპოქაში კბილის ექიმთა პატარა ჯგუფი ამხ. ჭიჭინაძის მონაწილეობით აარსებს ოდონტოლოგიურ საზოგადოებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. ჭიჭინაძე ახალგაზრდული გატაცებით, როგორც ნამდვილი ექიმ-საზოგადო მოღვაწე ებმება საზოგადოებრივ მუშაობაში და მთელ თავის ცოდნას და თავისუფალ დროს სწირავს მას. ის ხელმძღვანელობს თბილისის უნივერსიტეტის ოდონტოლოგიური ფაკულტეტის კლინიკას, ამზადებს ახალგაზრდა კადრებს ოდონტოლოგიის დარგში, რომელიც მანამდე არც კი იყო ცნობილი მეცნიერულ დისციპლინად და არ შედიოდა უნივერსიტეტის სასწავლო კურსში.

მან პირველმა მოამზადა საქართველოში სტომატოლოგთა პირველი კადრები და თარგმნიდა რუსულ სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზე.

ამხ. ჭიჭინაძე მრავალი წლის განმავლობაში, ედგა სათავეში სტომატოლოგიურ საზოგადოებას, მისი საზოგადო მოღვაწეობის 30 წლისთავზე, 1925 წელს, ის არჩეულ იქნა სტომატოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად.

ამხ. ჭიჭინაძის სახით ჩამოგვცილდა უხუცესი ექიმ-სტომატოლოგი და საზოგადო მოღვაწე.

საქ. ექიმთა საზოგადოების თბილისის სტომატოლოგიური სექცია: პროფ. ურუშაძე, ექიმები: მენაბდე, გოლდბერგი, ვოლფზდორფი, ელკინი, კარაგულიანი, დავითაშვილი, მეეროვი, იანუშევი, ლოლობერიძე.

25 კილომეტრი 3,5 საათში

12 თებერვალს დილით მოეწყო საქგზატკეცილების და ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა პროფკავშირის წევრების მასობრივი გადასვლა თბილისიდან მცხეთამდე 25 კილომეტრის მანძილზე. გადასვლის მოწყობის მიზანი იყო ნორმების ჩაბარება შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის შესახებ ახალი კომპლექსის მიხედვით.

გადასვლაში მონაწილეობა მიიღო 143 ქალმა და კაცმა. 25 კილომეტრიანი მარშრუტი მათ განვლეს სამსაათნახევარში. უკანასკნელი ორი კილომეტრი განვლილ იქნა აირწინაღებით.

15 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროფ. მ. გოგიბერიძის მოხსენება ქართულ ენაზე. თემა—„ლენინისა და სტალინის მეცნიერული წინასწარჭვრეტის შესახებ.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: საოპერა — „პიკის ქალი“ (ტალ. № 117), რუსთაველის სახელობის — „ყაჩაღები“ (ტალ. № 115), მარჯანიშვილის სახელობის — „ჩატეხილი ხიდი“, მუსკომედია — „ესპანელი მღვდელი“, სახესტრადა—„ჩემი მეომარი“. **კინოებში:** რუსთაველის სახ. — I სეანსი „საზღვარზე“, II და III სეანსები „მამაცობა“, ოქტომბერი — „მეოთხე პერისკოპი“, დამკვრელი — „მეოთხე პერისკოპი“, სპარტაკი — „ამანგელდი“, ლუქსემბურგის სახ. — „მამაცობა“, 26 კომ. სახ. — „მიგდებული ბავშვი“, კომინტერნი — „არსენა“, კომკავშირელი— „უკანასკნელი ბანაკი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ 1940 წ. 22 თებერვალს, საღამოს 7 საათზე აუდიტორია № 107-ში ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჩახვაშვილი** დაიცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „**კახეთის აჯანყება 1812 წელს**“.

ოფიციალური ოპონენტები: მეც. აკად. წევრი—კორესპ. ისტორიის მეც. დოქტორი, პროფესორი – გ. ვ. ხაჩაპურიძე.
დოც. ალ. გ. ფირცხალაიშვილი.

შრომის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
303 უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ 1940 წ. 22 თებერვალს, საღამოს 7 საათზე (უნივერ. მთავარი შენობა) აუდიტორია № 85-ში ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **სოლომონ ივლიანე-ძე ყუბანეიშვილი** დაიცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „**ნარკვევი მეექვსე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ევსტათი მცხეთელი)**“.

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგ. მეც. დოქტორი, პროფ. კ. ს. კეკელიძე, ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი პროფ. ალ. ბარამიძე.

შრომის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
302 უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე

თანახმად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, ხდება საქართველოს სასპორტო საზოგადოება „ტემპთან“ არსებულ პრომკომბინატ „სპორტფორმას“

ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა. წ. 20 თებერვლამდე. პლეხანოვის პროსპ., № 65.
32 ლიკვიდკომი.

თბილპურვაჭრობის დირექცია იღებს თბილისის მკვიდრ მცხოვრებ ქალთაგან მოსწავლეებს პურ-ბულკეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ოთხთვიან კურსებზე.

კურსები ამზადებს პურვაჭრობის სისტემისათვის მაღაზიისა და სექციის გამგეებს და პირველი კატეგორიის გამყიდველებს.

კურსებზე ჩარიცხულ მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია 80-დან 100 მანეთამდე. კურსებზე მიიღებიან ქალები 40 წლამდე განათლებით არანაკლებ 5 კლასისა.

საჭიროა წარმოდგენილ იქნას განცხადებასთან ერთად 1. განათლების მოწმობა, 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ჯანმრთელობის ცნობა, 4. ორი ფოტოსურათი და პასპორტი (პირადად).

კურსებზე შემსვლელთათვის იწარმოებს გამოცდა: 1. პოლიტცოდნაში, 2. ქართულ ენაში და 3. არითმეტიკაში.

განცხადებები მიიღება პურვაჭრობის კადრების განყოფილებაში; პუშკინის ქუჩა № 7, და სასწავლო კომბინატში ნინოშვილის ქუჩა, № 24-ბ. დილის 9½ საათიდან 4 საათამდე.

განცხადებების მიღება იწარმოებს 20 თებერვლამდე.
42 თბილპურვაჭრობის დირექცია.

საქართველოს სასწავლო სააღრიცხვო-ეკონომიური კომბინატის თბილისის ფილიალი აწარმოებს
მთავარი და უფროსი ბუხჰალტრების, ბუხჰალტრებისა და მოანგარიშეების მომზადება-გადამზადებას.

განცხადებების მიღება გრძელდება. ცნობები მიიღება ფილიალის კანცელარიაში, ვოლოდარსკის ქ. № 5, საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე. ტელეფონი № 3-33-23.
43 დირექცია.

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლი აცხადებს მსურველთა საყურადღებოდ,

რომ ა. წ. 1 მარტიდან ქ. თბილისში იხსნება თვითმოქმედ მომღერალთა **გუნდის** ხელმძღვანელთა სამთვიანი მოსამზადებელი

კ უ რ ს ე ბ ი

თბილისელი ამხანაგები, რომლებსაც სურვილი აქვთ შევიდნენ კურსებზე, უნდა გამოცხადდნენ აღრიცხვაზე გასატარებლად ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლში (მახარაძის ქ., № 8) ამხ. გასტუროვთან 25 თებერვლამდე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. თან უნდა იქონიონ თავიანთი პროფორგანიზაციის ან დაწესებულების შუამდგომლობა და დახასიათება.

ავტონომიური რესპუბლიკებიდან და რაიონებიდან კურსებზე გამოგზავნილი ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ 1 მარტს, დღის 3 საათამდე. სავალდებულოა თან იქონიონ მოვლინების ბარათები. იწარმოებს მისაღები გამოცდები. პირობების გაგება შეიძლება ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლში.

საქ. ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის
43 დირექტორი გრ. კოკელაძე

ძმა ევგენი, რძალი ქეთევან, ძმისწული ზაირა ოდიშარიები იუწყებიან დაუვიწყარ
ნადია ოდიშარია-ნიორაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/II, 4 ს. ქ. ზესტაფონში. 5193

ნინო, კლარა, აგნესა ალოიზის-ასულნი აზიკაშვილები იუწყებიან დის
მარიამ ალოიზის-ასულ შამირანაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/II, 7 ს. მე-2 საავადმყ. პროზექტურაში (კამოს ქ. 103). დაკრძალვა 17/II, 4½ ს. 5194

ცოლი ეკატერინე, შვილები მიხეილ, ოლია, ნატაშა, რძალი მარო, სიძეები ნ. პატარაია, ვ. ფანჩულიძე შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ
მიხეილ დავითის-ძე უუფარაძის
გარდაცვალებას ქუთაისში. 5192

სტომატოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის კათედრის თანამშრომლები რცხილაძე, ბურთიკაშვილი, კაპანაძე, სტეფანიშვილი, მდივანი, იაშვილი, ბერუაშვილი იუწყებიან ამავე კათედრის თანამშრომლის დიმიტრი ლორთქიფანიძის მამის
დავით ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას. 5186

ძმები გიორგი კიბარიძე ცოლით მარიამით, შვილით ვასიკოთი, ვანიჩკა ცოლით ვერათი იუწყებიან, რომ 18/II ს. ბრეთში დანიშნულია დაუვიწყარი დის
ელენე ედილაშვილის
პანაშვიდი. 5183

მეზობლები დიდიმოვი, ტატიშვილი, ყაზახაშვილი, ბახჩიევი, სარქისოვი, მამულაშვილი, გუნცაძე, ხოსიტაშვილი, ბახჩიევი, მამულაშვილი, გრიაზნოვი, თოთიბაძე ოჯახებით იუწყებიან
ათანას ბიჭიას-ძე მიქაძის
გარდაცვალებას. 5184

მეუღლე მარიამ, შვილი თეიმურაზ, ცოლისდები ანიჩკა, აგრაფინა, ცოლისძმა გიორგი იუწყებიან დაუვიწყარ
ათანას ბიჭიას-ძე მიქაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 15/II 5 ს. კოლხიდის შესახვ. 6. 5185

სტახანოველთა კურსების დირექცია და პედაგოგიური პერსონალი იუწყებიან ამავე კურსების სასწ. ნაწ. გამგის გ. ა. ნოზაძის მეუღლის
სოფიო ნოზაძის
გარდაცვალებას. 5172

მე-107 საშუალო სკოლის პედპერსონალი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ევგენი ოდიშარიას, მისი დის
ნადია ოდიშარია - ნიორაძის
გარდაცვალების გამო.

ცოლი ვარია, შვილები ლიალიკო, ლიანა, და ეპრაქსია, ძმა მიშა ცოლშვილით იუწყებიან ექიმ
სამსონ ივანეს-ძე ბერულავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/II ქ. სოხუმში, ვოროშილოვის, 5. 5187

საგარეჯოს რაიჯანგანის საავადმყოფოს პოლიკლინიკის სამალარიო სადგურის და რაიაფთიაქის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან საგარეჯოს პოლიკლინიკის სტომატოლოგ
ექიმ შურა მემარნიშვილის
გარდაცვალებას. 5188

საგარეჯოს რაიონის ექიმები მიხეილ გოგნიაშვილი, შალვა ვაშაკიძე, მარო ჟორდანია, ნინო ფულარია, ელენე ილაშვილი, გრიშა დიდიძე იუწყებიან რაიპოლიკლინიკის ექიმ
შურა მემარნიშვილის
გარდაცვალებას. 5189

შვილები ქეთევან, მასურია, თამარ, ნინო, ლიზა, შალვა, ელიზბარ ოჯახებით ხუნდაძეები იუწყებიან
ოლღა გიორგის-ასულ ხუნდაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/II 4 ს. ქ. ქუთაისში, დაჲა ფშაველას II შესახვევი, № 20. 5190

ცოლი ლუბა, შვილები ლამარა, გოგი, მშობლები გიორგი, ლიზა, დები, სიძეები, დისწულები იუწყებიან, რომ 18/II 4 ს. ს. მარანის 1 მაისის თემში დანიშნულია
შალიკო გიორგის-ძე ახობაძის
პანაშვიდი. 5191

დედა ოლია (ბუცუ) კაჭკაჭიშვილი-წულუკიძე, დეიდა თამარ, მამიდები ქეთო, ნუცა იუწყებიან, რომ 18/II 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ცირიკო შალვას-ასულ წულუკიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 5195

უახლოესი მეგობრები გ. კობახიძე, მ. გიორგიძე, გ. სულაძე, შ. ძანაშვილი, მ. სულაძე, მ. გულიაშვილი, ვ. შავდია იუწყებიან სულიკოს მამის
დავით დიმიტრის-ძე ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/II, 7 ს. ქ. მესხის, 6. გამოსვენება 16/II, 4 ს. 5196

მეუღლე ლუბა, შვილები ლამარა, გოგი, მშობლები გიორგი, ლირსა, დები ლუბა, საშა, ნინო, ტატიანა იუწყებიან, რომ 18/II ს. საჭილაოში დანიშნულია
შალიკო ახობაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 5197

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩ № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 739